# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 22 ოქტომბერი 2004 №246 (2267) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 0:2 თამაში უფროსკლასელებთან

UEFA CUP








# ფარიკაობა ფრანგებთან

## სოშომ დინამოს ჩხვლეტა დაასწრო

# უეფას თასი 2004-2005. D ჯგუფი. I ტური


შოთა კაშია კარისკენ კი გაფრინდა, მაგრამ ბურთი მეკარეს დარჩა

თბილისი. 21 ოქტომბერი. 20 საათი. ლოკომოტივი. 22 000 მაყურებელი.

## დინამო 0:2 სოშო

0:1 ილანი (18), 0:2 პაისლი (38)

12 მამალაძე
4 სალუქვაძე, 2 ჭიჭველიშვილი
5 შაშიაშვილი, 25 რომერო
15 კაშია, 3 კანდელაკი
21 კაკალაძე, 7 ნემსაძე, 9 ახალაია
18 მელქაძე

მწვრთნელი გია გეგუჩაძე

26 მენეზი, 9 ილანი
17 პიტო
10 ორუმა, 14 ლონფატი, 12 იზაბი
25 მატიე, 21 დიავარა, 3 პაისლი, 27 დაფი
16 რიშერი

მწვრთნელი გი ლაკომბი

შეცვლა: ილანი – 18. ნდოუ (46), მენეზი – 19. დე კარვალიო (58), კაშია – 6. ალადაშვილი (73), რომერო – 11. დვალი (83)

გაფრთხილება: კაშია (19), ჭიჭველიშვილი (45), ორუმა (70), ალადაშვილი (88), პაისლი (89)

მსაჯები: შტეფან მესნერი; ტორსტენ ობვურცერი, ჰერბერტ კრენი; თომას განგლი (ყველა ავსტრია)

უეფას დელეგატი: მაურიციო ლაუდი (იტალია)

უეფას ინსპექტორი: ასიმ ხუბიევი (აზერბაიჯანი)

# თამაში უფროსკლასელებთან

**კობა ინასარიძე**

აი, ფეხბურთი, შემოდგომის ფეხბურთი, რასაც ქართველი ქომაგი ამდენი წელი ნატრობდა და რაც გუშინ ვნახეთ.

ვერ ვიტყვით, თბილისს უმაღლესი კლასის გუნდი ესტუმრაო, თუმც ჩამოვიდა ევროპული დონის ის გუნდი, რომელმაც ფეხბურთის კარგად თამაში იცოდა და აქედან სამი ქულაც გაიყოლა.

ფრანგული „სოშო" ჩვენი „დინამოსთვის" მაინცდამაინც უძლეველი გუნდიც არ ჩანდა, მაგრამ მასპინძლებმა მეტოქის გატეხვა ვერა და ვერ შეძლეს. უფრო სწორად, „დინამომ" ოცი წუთი, ნახევარი საათი „სოშო" კი გატეხა, თავგზა აუბნია, მაგრამ რაც მთავარია, ის ვერ შეძლო — მოედანი უგოლოდ დატოვა.

კლასი — აი, რით წააგო გუშინ „დინამომ". კლასი გამოცდილებას მოაქვს; კლასი დიდ და ყოჩაღ მეტოქეებთან ხშირ დაპირისპირებას მოაქვს; კლასია ისიც, გუნდში თანაბარი ძალის 18 ფეხბურთელი რომაა, შენ კი ორი ფეხბურთელის სრულფასოვანი შემცვლელი არ მოგეძებნება.

— ვიცოდი, რომ ჩვენს წინააღმდეგ ვერ ითამაშებდნენ კვირკველია და კანკავა, გუნდიც სათამაშოდ სწორედ ამის გათვალისწინებით მოვამზადე. მათ რომ ეთამაშათ, აბსოლუტურად სხვა თამაში იქნებოდა — თქვა ნამატჩევს „სოშოს" თავკაცმა გი ლაკომბმა.

ახალი ფრანგს არაფერი უთქვამს, მაგრამ ლაკომბის სიტყვებში ეს გვენიშნა — კვირკველია და კანკავა რომ ყოფილიყვნენ, „სოშო" სხვანაირად ითამაშებდაო. როგორ ითამაშებდნენ სტუმრები, ვერ გეტყვით, მაგრამ „დინამოს" ეს ორი რომ ჰყოლოდა, დარწმუნებული ვარ, სხვა, უფრო კარგ „დინამოს" ვნახავდით.

ვნახავდით, რომ პირველ ტაიმში „სოშოს" მოედნის ცენტრის პატრონობა უფრო გაუჭირდებოდა და ვნახავდით, რომ „სოშოს" მარჯვენა ფლანგი ისეთი მედგარი ვერ იქნებოდა, როგორიც ეს შესვენებამდე ჩანდა.

„სოშო" „ვისლაზე" ძლიერი გუნდიც არ ჩანდა, თუმც რაც გუშინდელ სტუმრებს პოლონელთაგან განასხვავებდა, იმპროვიზაციის მეტი უნარი იყო. „სოშოს" წარმატების მომტანიც ალბათ სწორედ ეს ფაქტორი გახლდათ.

გავიხსენოთ მეორე ტაიმის საწყისი 20 წუთი. „სოშო" სადღაც დაკარგულიყო, ფეხბურთს კი „დინამო" თამაშობდა. ამ დროისთვის ფრანგთა ერთი-ორი გამონათება უფრო ვილსონ ორუმას დამსახურება იყო — ძალიან სწრაფი და მოქნილი თავდამსხმელი ყოფილა.

შესვენებამდე „სოშო" ორი ბურთით დაწინაურდა, თანაც წამყვანი ფორვარდი ილანი დაუშავდა და ლაკომბმა ის იძულებით შეცვალა. მწვრთნელმა აყლაყუდა ნახევარმცველს გირან ნდაუს უხმო და შესაძლოა, სწორედ იქ შეცდა. „სოშოს" ტაქტიკური სქემა 4-4-2 გადაეწყო და სხვა სახე მიიღო. 5-4-1 აშკარად დაცვითი ვარიანტი გამოვიდა. „სოშოს" ერთი თავდამსხმელის მოხსნით კი „დინამოს" მცველი გათავისუფლდა და შეტევაში ჩაერთო. „დინამომ" საგრძნობი უპირატესობაც მიიღო და მელქაძეს ოთხჯერ, ახალაიას, კაკალაძეს, კაშიას ოდნავ რომ გამართლებოდათ, ვინ იცის, 1:2-ზე თამაში როგორ გაგრძელდებოდა. მით უმეტეს, ფრანგები აშკარად და ბევრს ნერვიულობდნენ.

თუმც თავიდან „დინამო" ნერვიულობდა, ჩვენები ვერა და ვერ დამშვიდდნენ, ზუსტი მოკლე პასიც არ გამოსდიოდათ და ის ორი გოლიც უფრო თავისი შეცდომების გამო მიიღეს, ვიდრე სტუმრების კლასის შედეგად.

„დინამოს" მცველების დაბნეულობას, შეუთანხმებლობას, უზუსტო პასებს ის მოჰყვა, რომ ზედ საჯარიმოსთან დაიკარგა ბურთი, ილანი მასპინძლებს შორის გაძვრა, მამალაძესთან პირისპირ დარჩა და გაიტანა.

ილანის გოლიდან ოც წუთში უკვე პაისლის ჯერი დადგა. არადა, მეორე გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე, „სოშოს" კუთხურისას „დინამოს" საჯარიმოში ანალოგიური ვითარება შეიქმნა. პაისლი კარის ხაზზე მოძრაობდა და თავურისთვის პოზიციას ეძებდა. პირველად მისი შეჩერება სალუქვაძემ, ცოტა არ იყოს, ორიგინალურად შეძლო. ფრანგმა კარის ხაზი რომ გადაკვეთა, ჩვენიანი მას მიჰყვა და კუთხურიც ისე შესრულდა, ორივენი მოედნის მიღმა დარჩნენ. მეორედ კი... პაისლიმ წამით შეძლო მეურვისგან დასხლტომა და ახლოდან გაიტანა.

ეს გოლი იყო და, „დინამო" გაითიშა. ჩვენებს იქამდე კარში დარტყმა ერთხელაც ვერ მოეხერხებინათ და ტაიმის დამთავრებამდე ვერც მოახერხეს. რატომ? ამის ახსნა ძნელია, თუმც მაინც ვთქვათ, რომ ასე, ალბათ, ნერვიულობისა და ზედმეტი დაძაბულობის გამო მოხდა. თბილისელთა საჯარიმო მაინცდამაინც არც სტუმრებს აუტალახებიათ, მაგრამ დაცვაში ნამდვილად ყოჩაღობდნენ. ბარე ორმეტრიანი მცველები დიავარა და მატიე თავით უნაკლოდ თამაშობდნენ. ტაიმის ბოლოსკენ კი მატიე ისე გათამამდა, მამალაძეს ჯარიმიდან ორჯერ ცენტრიდანაც დაურტყა.

მეორე ტაიმში კი ჩვენები მეტი რიხით ათამაშდნენ, აგრესიას უმატეს, სიზუსტეც მიეცათ და, როგორც ვთქვით, ხუთი-ექვსი ნაღდი მომენტი გაუცუდდათ... ოდნავ რომ გამართლებოდათ... ოდნავ ძლიერად რომ დაერტყათ...

„სოშომ" კი დაარტყა და მოიგო. ჩვენ გული დაგვწყდა, მაგრამ არ შევრცხვენილვართ, „დინამო" არ შერცხვენილა.

სხვანაირად რომ ყოფილიყო, არც ის კაცი იქნებოდა ლოჟიდან ნამატჩევს სასწრაფოთი წასაყვანი, რომელმაც „დინამოზე" ინერვიულა.


ილანმა თბილისელთა საჯარიმოში ნავარდი გოლით დაასრულა


ლადო ახალაია: ეს ეპიზოდი პენალტს ჰგავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრესკონფერენცია





*გია გეგუჩაძე:* ვულოცავ „სოშოს“ მოგებას. ვფიქრობ, ღირსეულ მეტოქესთან დავმარცხდით. ჩემს ფეხბურთელებს თავდადებისთვის მადლობას ვუხდი. რაც შევძელით, ვითამაშეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, წავაგეთ.

...ეს თამაში „დინამოს“ ზრდას აუცილებლად წაადგება. ჩვენ ჯერაც ჩამოყალიბების პროცესში ვართ და ტრაგედიის შექმნას არ ვაპირებთ. მით უმეტეს, მეტოქეც ძალიან სერიოზული გვყავდა.

...ვიცოდი, რომ „სოშო“ ძლიერი გუნდი იყო და თავიდანვე თავქუდმოგლეჯილი შეტევებისგან ამიტომ შევიკავეთ თავი. სამწუხაროდ, როცა უნდა შევვეტია და გარდატეხა შეგვეტანა თამაშში, მაშინ გავუშვით გოლი უხეში შეცდომის გამო.

*გი ლაკომბი:* „დინამო“ ძალიან სერიოზული გუნდი ყოფილა. დავრწმუნდი, რომ „ვისლასთან“ შემთხვევით არ მოუგია, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მაინც უფრო მეტს ველოდი. პირველ ტაიმში ორი გოლი გავიტანეთ და ამან საქმე გაგვიიოლა.

...სულაც არ ვთვლი, რომ მეორე ტაიმში გაგვიჭირდა, „დინამოს“ უპირატესობა არც ისე თვალშისაცემი იყო, როგორც გარედან ჩანდა, მართალია, ჩვენს კართან მომენტები შეიქმნა, მაგრამ ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

...თბილისელთაგან ოთხი ნომერი (ლაშა სალუქვაძე) მომეწონა, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თავიდანვე ვიცოდით, რომ კვირკველია და კანკავა არ იქნებოდნენ, რამაც ჩვენი შანსები გაზარდა. ეს ორი ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, ალბათ, სხვა თამაში იქნებოდა.

...ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა. ამაში დღევანდელმა მოგებამ დიდი სამსახური უნდა გაგვიწიოს.

# ჩვენი მეტოქეები



ალან შირერისგან გოლს ელოდნენ და გაიტანა კიდეც

# მხცოვანი მებოლის ყვავილობა

## პანიონიოსი 0:1 ნიუკასლი

**0:1 შირერი (87პ)**

**პანიონიოსი:** კოლჩიგი, დოდი, დომორო, მაკოსი, ციოლისი, იანოპულოსი, სპიროპულოსი, პაროდი (ლაგონიკაკისი 74), ვლჩეკი, ჟიმონჯიჩი (გუნდულაკისი 69), ბრეშკა

**მწვრთნელი:** კაროლ პეჩე

**ნიუკასლი:** გივენი, კარი, ობრაიენი, ელიოტი, ბერნარი, ჯენასი, ბოიერი, მილნერი (ამეობი 67), რობერი, შირერი, ბელამი

**მწვრთნელი:** გრემ სუნესი

**გაფრთხილება:** კარი (24), სპიროპულოსი (53), ბოიერი (55), ჟიმონჯიჩი (66), ლაგონიკაკისი (85)

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**11 700 მაყურებელი**

34 წლის ალან შირერმა ჩინებულად ითამაშა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც ის გახლდათ. შირერმა შოლა ამეობის მონადირებული პენალტი გაიტანა და „ნიუკასლიც“ სამშობლოში სამი ქულით ხელდამშვენებული გაემგზავრა.

პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო. ჯერ შირერმა და კრეიგ ბელამიმ სცადეს ბედი, თუმც უშედეგოდ. უფრო რეალური შანსი მასპინძელ მარიო ბრეშკას ჰქონდა, მაგრამ „ნიუკასლი“ შეი გივენმა იხსნა — ღონიერი თავური მოიგერია.

შემდეგ „პანიონიოსის“ გოლკიპერ სორინ კოლჩიგის ჯერიც დადგა — მან ჯერ ლორან რობერის დარტყმა გააუვნებლა, შემდეგ შირერის.

პირველ ტაიმში საუკეთესო შანსი ნიუკასლელ ჯერმენ ჯენასს ჰქონდა — ხელსაყრელი პოზიციიდან ხარიხას გადაავლო ბურთი.

მეორე ტაიმში შირერიც და „ნიუკასლიც“ უფრო მძლავრად ათამაშდნენ, ხოლო ბერძნებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ. შირერი კი საგოლე პენალტამდე ორჯერ დაემუქრა „პანიონიოსის“ კარს.

### დავით თავართქილაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ნიუკასლი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სპორტინგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| პანიონიოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| დინამო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**მეორე ტური:**
**4 ნოემბერი**

**ნიუკასლი — დინამო**
**სპორტინგი — პანიონიოსი**

# ნამატჩევს

*მიხეილ კაკალაძე:* ძალიან რთული თამაში იყო. პირველ ტაიმში გაგვიჭირდა — სანამ აზრზე მოვედით, ორი ბურთი გავუშვით. მეორე ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ. ფიზიკურად დაგვჯაბნეს, თუმც მეორე ტაიმში მომენტები გვქონდა და თამაში წასაგები არ იყო. პირველი ტაიმი კარგად რომ ვერ ვითამაშეთ, ალბათ ცოტა დაბნეულებიც ვიყავით.

*გიორგი შაშიაშვილი:* ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ. პირველ ტაიმში ალბათ უსუსურად გამოვიყურებოდით. მეორე ტაიმის წინ გეგუჩაძემ ერთხელაც გვითხრა, რომ „სოშოსთანაც“ შეგვიძლია თამაში და ჩვენ უფრო მეტი თავდადებით გავედით მოედანზე. რაც უნდა იყოს, ჯგუფის პირველი მატჩი ვითამაშეთ და შეცდომები გამოუცდელობის ბრალიც არის. მეორე მატჩს „ნიუკასლთან“ ალბათ უკეთესად ვითამაშებთ. ნიუკასლში თამაში შესაძლოა „მილანს“ და „ბარსელონას“ გაუჭირდეთ, მაგრამ თავისუფლად უნდა ვითამაშოთ. „სოშო“ კი ძალიან კოლექტიური გუნდი აღმოჩნდა, ხოლო ილანი საკმაოდ კარგი ფორვარდია, გვარიანი პრობლემები შეგვიქმნა პირველ ტაიმში, ჩვენ კი დაზღვევაზე თამაში გვაკლდა.

*ლევან მელქაძე:* თავადაც ნახეთ, მეორე ტაიმში როგორც ვითამაშეთ, პირველიც რომ ისე ჩაგვეტარებინა, კარგი იქნებოდა...

პირველში „სოშომ“ შანსი არ მოგვცა, თავისი ფეხბურთი მოგვახვია თავზე. თან ჩვენც ნაკლებად ვმოძრაობდით...

ჩემი მომენტისას სხვა შანსი არც მრჩებოდა, მეკარემ დარტყმის კუთხე შემიმცირა და რომც დამერტყა, უფრო მას გავარტყამდი. ამიტომაც ვამჯობინე ბურთის თავზე გადაგდება, მაგრამ...

*ლაშა სალუქვაძე:* ფაქტია, მეტოქე ძალიან მაღალი დონის გუნდი იყო. ალბათ, ჩვენი გამოუცდელობის ბრალიც იყო ის, პირველ ტაიმში ხშირად რომ ვცდებოდით.

მეორეში თამაში კი გამოვასწორეთ, ვცადეთ ჩვეულად გვეთამაშა, მაგრამ... აი, მელქაძეს ის ბურთი რომ შეეგდო, ალბათ, სხვა შედეგი იქნებოდა.



*გიორგი ნემსაძე:* მეტოქე ძალიან მჭიდროდ გვეთამაშა, ფრანგები, ასე ვთქვათ, ფეხზე გვაჯდნენ, ძალიან კარგად აკონტროლებდნენ ბურთსაც — „სოშოს“ ყველაფერი ძალიან კარგად ჰქონდა დამუშავებული — ასეთ წინაღობას შევხვდით და წავაგეთ, რაც ლოგიკურია. მომენტების გამოუყენებლობა დასანანია, ეს ალბათ უიღბლობის და კლასის ნაკლებობის ბრალია.

დისკვალიფიცირებულმა *ჯაბა კანკავამ* გულგატეხილმა გვითხრა, მეც რომ ვყოფილიყავი, ალბათ მაინც არაფერი შეიცვლებოდა, ფრანგებმა აშკარად დაგვჯაბნესო.




ის მომენტი, ლევან მელქაძე მეკარეს რომ მოუახლოვდა, მაგრამ ბურთი ველარ გადაავლო

# ყველაფრის მაჩვენებელი საზოგადოებაა

## ლოკომოტივი არნახულ სიახლეს წარმოგვიდგენთ



უკვე მეორე სეზონია, რაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტი პროფესიული ლიგა ატარებს. პროფლიგის შექმნა და საქმიანობა ეროვნულ ჩემპიონატს მართლაც დაეტყო, თუმც საკეთებელი ჯერაც ბევრია. „სარბიელის“ კითხვებს პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი პასუხობს

— მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ პროფლიგამ უმაღლესი ლიგის გუნდებს მინიმუმ 300 000-ლარიანი წლიური ბიუჯეტი მოსთხოვა, თუმც რამდენიმე გუნდს აშკარად ეტყობა, რომ ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდის, მაგალითად, გორის „დილას“ — დარწმუნებული ხართ, რომ უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს აქვს მინიმუმ 300 000-ლარიანი წლიური ბიუჯეტი?

— რადგან „დილა“ ახსენეთ, გეტყვით, რომ პროფლიგის ერთ-ერთი სპონსორი გახლავთ „საქართველოს ბანკი“, რომელსაც შეუძლია, კრედიტი გამოუყოს უმაღლესი ლიგის კლუბებს. კრედიტის გარანტს კი პროფლიგა წარმოადგენს, რადგან „დილამ“ ინტერტოტოს თასზე იასპარეზა და გაისად უეფასგან თანხა გადმოერიცხება. აი, ასეთ მექანიზმთან გვაქვს საქმე. „საქართველოს ბანკი“ სწორედ ამიტომაა ჩვენი სპონსორი, რომ კლუბებს ასეთი დახმარება გაუწიოს.

— უმაღლეს ლიგაში 300 000-ლარიანი გარანტიის უქონლობის გამო არ დაუშვით „რუსთავი“ და „ქობულეთი“ — მათ რატომ არ დაეხმარა „საქართველოს ბანკი“?

— „რუსთავს“ და „ქობულეთს“ მხოლოდ ფულის პრობლემა როდი ჰქონდათ. ამ კლუბებს ინფრასტრუქტურა დღესაც დანგრეული აქვთ.

— ამ ჩემპიონატში „ზესტაფონმა“ უმაღლეს ლიგაში ფაქტობრივად წყალტუბოს „სამგურალის“ ადგილი იყიდა, თუმც იურიდიულად ამას სხვა სახე ჰქონდა. კიდევ რომელიმე პირველლიგელმა რომ მოისურვოს მსგავსი რამ, თქვენი პოზიცია როგორი იქნება?

— ყველა ასეთ შესაძლო პროექტს შევისწავლით და გადაწყვეტილებას მერელა მივიღებთ. რაც „ზესტაფონმა“ გააკეთა, ამის მომხრე ვარ. კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია ფეხბურთში გამოცდილი კაცია და კარგ საქმეს აკეთებს, რომლითაც ყველა მხარე კმაყოფილია — „ზესტაფონი“ ბაზას სწორედ წყალტუბოში აშენებს.

— გულშემატკივრებთან რა სამუშაოებს ატარებს პროფლიგა? ეროვნული ჩემპიონატის თუ სათასო მატჩებზე ბილეთები მეტწილად არ იყიდება და როგორ ადგენთ, საშუალოდ რამდენი მაყურებელი ესწრება თამაშებს?

— ვხელმძღვანელობთ იმ მონაცემებით, რაც გაზეთებში ქვეყნდება, რაც ზოგადი სურათის დანახვის საშუალებას იძლევა. საერთოდ, საზოგადოებაა იმის მაჩვენებელი, თუ რა ხდება საფეხბურთო მეურნეობაში. ახლანდელი ვითარებით კმაყოფილი ვარ, საქართველოს ჩემპიონატის მიმართ საკმაო ინტერესია.

— ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებელი მხოლოდ თამაშის სანახავად დადის, ვერანაირ სხვა შოუს ის ვერ ხედავს...

— კლუბებს რეკომენდაცია მივეცით, რომ მატჩზე მისულმა მაყურებელმა მხოლოდ თამაში არ უნდა ნახოს. რამდენიმე კლუბი მაყურებელთან უკვე მუშაობს. ამ მხრივ კარგი ნაბიჯი გადადგა „ლოკომოტივმა“ — თამაშზე ჯანმრთელობაშერყეული და მშობელთა სითბოს მოკლებული ბავშვები დაპატიჟა. „ლოკომოტივი“ მალე იმასაც გააკეთებს, რაც აქამდე არ გინახავთ. სასიხარულოა, რომ „დინამოს“ ხელმძღვანელობა ირჯება გულშემატკივრების მოსაზიდად. „თბილისიც“ ყურადღებით ეკიდება ამ საქმეს. შოუები კი მატჩებზე კლუბების ინიციატივით უნდა ჩატარდეს. თასის ფინალზე ამას პროფლიგა გააკეთებს და კიდევ მაშინ, თუ კვლავაც საჭირო გახდება „ოქროს მატჩი“.

— **მიგაჩნიათ, რომ მსაჯობასთან დაკავშირებით პროფლიგა ნაყოფიერად მუშაობს?**

— ამ მხრივ იდეალური ვითარება არაა, მაგრამ ყველაფერს სწორად ვაკონტროლებთ. მსაჯის ნებისმიერ შეცდომაზე მკაცრი რეაგირება იქნება, საინსპექტორო კომიტეტი ამიტომაც შევქმენით. მკვეთრად გამოსწორდა ფეხბურთელების დამოკიდებულება მსაჯებისადმი, რადგან ყველამ იცის, რომ რაც ადრე ეპატიებოდათ ფეხბურთელებს, ახლა აღარ ეპატიებათ. თუ მსაჯი ფეხბურთელისგან შეურაცხყოფაზე თვალს დახუჭავს, ინსპექტორი ამას მაინც დაინახავს და ეს რეაგირების გარეშე არ დარჩება.

— რეაგირება ახსენეთ და, წინა სეზონში მომხდარ ამბავს შეგახსენებთ — „დინამოს“ და „თბილისს“ შორის სკანდალური ისტორია მოხდა, არბიტრმა კახა მესხმა მუქარის ფაქტი აღიარა, მაგრამ ყველაფერი ჩაიფარცხა, რეაგირება არც პროფლიგას მოუხდენია...

— იმ ამბავმა მოიტანა ის, რომ ამ სეზონში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. ნელ-ნელა მალე ბოლო მოეღება ასეთ ამბებს, ყოველგვარ ეჭვებს და გაუგებრობებს.

— პროფლიგის რაიმე სიახლეზე ხომ არ გვეტყოდით?

— ძალიან მინდა, რომ ამ დროისთვის ყველაზე კარგი სიახლე „დინამოს“ „სოშოზე“ გამარჯვება იყოს. ისე კი, პროფლიგის სიახლეები თქმული კი არა, დანახული, საქმით დამტკიცებული უნდა იყოს.

**დავით თამართჭილაძე**

# კორღალიძეს მოენატრა, კორღალიძე მოენატრათ

ექვსი თვეა, ლევან კორღალიძეს ბურთზე ფეხი არ დაურტყამს... ...რებია. მუხლის მძიმე ტრავმამ ლატვიურ „სკონტოს“ ერთ-ერთი ლიდერი ჩამოაშორა და, როგორც მერე გამოჩნდა, ეს გვარიანადაც დაეტყო. რიგელები ჩემპიონატში მეორე ადგილზე არიან და შესაძლოა ისეც მოხდეს, „სკონტომ“ ჩემპიონობა დათმოს. ეს კი აქამდე არასოდეს მომხდარა.

ერთი სიტყვით, ლევან კორღალიძე რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა, „სკონტო“ — „იურმალას“ მატჩის 83-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ლატვიელი ჟურნალისტებიც ალაპარაკდნენ — სულ მალე კორღალიძის საფირმო ფინტებს ვნახავთო.

ლევანს რიგაში გუშინ შევეხმიანეთ...

— როგორც იქნა, დავბრუნდი. ამ მომენტს ძალიან დიდხანს ველოდი და მიხარია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ფეხს არ შევუწუხებივარ. ისე, მომდევნო ტურშიც უნდა მეთამაშა, მაგრამ მოვიწამლე და შინ დარჩენამ მომიწია. ახლა კარგად ვარ.

— **ამდენი ხანია, არ გითამაშია და ერთგვარი შიში ხომ არ გაქვს?**

— არა. ფსიქოლოგიურად კარგად მომამზადეს და არაფრის შემშინებია. აქაურმა ჟურნალისტებმაც დაწერეს, კორღალიძისგან პირველივე მატჩში ასეთ სითამამეს არ ველოდითო.

— **ადრე მითხარი, ოქტომბრის დამდეგს მზად ვიქნებიო და ორი-სამი კვირით გვიან კი დაბრუნდი...**

— მზად ვიყავი, მაგრამ ექიმებმა კიდევ მოცდა მირჩიეს. მეც მერჩივნა, სიჩქარის გამო ამდენი ხნის ლოდინი წყალში არ ჩამეყარა.

— **„სკონტო“ ძველებურად ვეღარ თამაშობს და შესაძლოა ისეც მოხდეს, პირველად ვერ გახდეთ ლატვიის ჩემპიონები...**

— რა ვიცი, მგონი, დაკარგული ჯერ არაფერია. ამაზე უარეს დღეშიც ვყოფილვართ და ბოლოს მაინც მოგვიგია. ახლაც არ ვართ უიმედოდ, თან „მეტალურგსთანაც“ გვაქვს სათამაშო და ამ მატჩში ბევრი რამე გაირკვევა. ჩემპიონობას ასე იოლად ვერ დავთმობთ.

**კახა შალამბერიძე**



# საპასპორტო რუსეთი ჯელაძეების წინააღმდეგ

**რუსეთის** პროფესიული ფეხბურთის ლიგაში სარატოვის „სოკოლის“ გენერალური დირექტორის ვლადიმირ ბურმისტროვის განცხადება შევიდა. დირექტორი ამტკიცებს, რომ მისი გუნდის ფეხბურთელი გიზო ჯელაძე (ცნობილ სკანდალში გახვეული ზვიად ჯელაძის უმცროსი ძმა) 2004 წლის იანვარში უცხოურ შეკრებაზე ქართული პასპორტით გაემგზავრა, რადგანაც რუსეთის პასპორტი აღებული არ ჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ მეორედივიზიონელი „სადოვიკის“ ქართველ მცველ ზვიად ჯელაძეს სწორედ საპასპორტო დარღვევების გამო მოსდეს რუსებმა შარი, რასაც გვარიანი სკანდალი მოჰყვა. მერე ითქვა, გიზო ჯელაძესაც არ ელის კარგი დღეო. თავად ფეხბურთელის კომენტარი ასეთია:

— თურქეთში და უნგრეთში შეკრებებზე ქართული პასპორტით წავედი. ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ რუსული პასპორტი დავკარგე. დღეს მე ნაღდად არ შემიძლია მოსკოვში ჩასვლა, რადგან შესაძლოა, დამაკავონ — ჩემზეც ხომ ამბობენ, დარღვევები აქვსო.

...ჩემი ძმისა და ჩემს გამო დატრიალებულ ამბებზე ბევრს ვფიქრობ და ალბათ რუსეთში აღარ გავჩერდები. კარიერა სხვა ქვეყანაში უნდა გავაგრძელო — ამბობს გიზო.

აქვე გეტყვით, რომ „სოკოლი“ პირველ დივიზიონში მეორე ადგილზეა და პრემიერლიგაში გადასვლის ურეალურესი შანსი აქვს. რუსი ჟურნალისტების თქმით, თუკი ჯელაძეს კანონდარღვევას დაუმტკიცებენ, მასაც და კლუბსაც სანქციები არ ასცდებათ.

**კახა შალამბერიძე**



გიზო ჯელაძეს სარმას მარტო მეტოქეები არ უდებენ

ფეხბურთი

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა

პირველი ლიგა

24 ოქტომბერი

მეათე ტური

ამერი — საგარეჯო

თბილისი საგარეჯო

დასაწყისი 15 საათზე. დასწრება უფასოა

მის: თიანეთის გზატკეცილი 25

(გლდანულას გადასახვევთან)

მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში საიტზე: www.fcameri.ge

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## E ჯგუფი

**პანათინაიკოსი 2:2 არსენალი**

**0:1 ლიუნგბერგი (18), 1:1 გონსალესი (65), 1:2 ანრი (74), 2:2 ოლისადებე (81)**

**პანათინაიკოსი:** ხალკიასი, მორისი, ვინტრა, გუმასი, კირიაკოსი, ბასინასი, მიტუ (ეპალე 77), კონსტანტინიდისი, სკაჩელი, ე. გონსალესი (საპანისი 90), კონსტანტინუ (ოლისადებე 64)

**მწვრთნელი:** ზდენეკ შჩასნი

**არსენალი:** ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ედუ, ფაბრეგასი, პირესი, ანრი, რეიესი

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

**გაფრთხილება:** გუმასი, ვინტრა, სკაჩელი

**მსაჯი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**20 000 მაყურებელი**

„არსენალი“ ათენში, „აპოსტოლოს ნიკოლაიდისის“ სტადიონზე ჯგუფის ლიდერობას დაემშვიდობა. გზნებარე ბერძენი ქომაგის დიდი ხელშეწყობით „პანათინაიკოსმა“ ინგლისის ჩემპიონთან 2:2 ითამაშა. ორივეჯერ ინგლისელები გადიოდნენ წინ და ორივეჯერ ბერძნები ეწეოდნენ. ფრედერიკ ლიუნგბერგის პირველ გოლს ეზეკიელ გონსალესმა შორიდან ლამაზი გოლით უპასუხა, ხოლო ტიერი ანრის მეორეს ემანუელ ოლისადებემ გასცა პასუხი.

ზდენეკ შჩასნი, „პანათინაიკოსის“ მწვრთნელი: „ასეთი დიდებული მუშაობისთვის მინდა ჩემს ბიჭებს დიდი მადლობა გადავუხადო. ისინი ძალიან დისციპლინირებულები იყვნენ და „არსენალს“ შემოქმედებითი ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მისცეს. ევროსარბიელზე „პანათინაიკოსის“ ტიპის გუნდები იძულებულნი არიან თავიანთი ტაქტიკა მოწინააღმდეგეს მოარგონ. აქედან გამომდინარე, დღევანდელი თამაში უზარმაზარ პრესინგს მოითხოვდა და ასეც მოვიქეცით. ამიტომაც მინდა შევაქო ჩემი ბიჭები. ისინი მენტალურად ძალიან ძლიერები ყოფილან. ჩვენ ორჯერ ჩამოვრჩით მეტოქეს და ორივეჯერ გავათანაბრეთ. მეტიც, გოლის გატანის სხვა შანსებიც გვქონდა, სხვა საქმეა, რომ ფეხბურთში მომენტებს კი არა, გოლებს ითვლიან.

ახლა წინ კიდევ სამი თამაში გველის და ცხადია, ამ სამ შეხვედრაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა გულწრფელად რომ გითხრათ, „ეინდჰოვენის“ და „რუსენბორგის“ დღევანდელი შედეგი ჩვენი საწინააღმდეგო გამოვიდა“.

არსენ ვენგერი, „არსენალის“ თავკაცი: „ათენიდან იმაზე ნაკლები ქულით მივდივართ, ვიდრე ვაპირებდით. თან ისე, როგორც „რუსენბორგთან“ შეხვედრაში აქაც ვიგებდით. რომ ვერ გავიმარჯვეთ, ისევ და ისევ უყურადღებობის ბრალი გამოდგა.





„არსენალის“ კარში ასე გავიდა ორი გოლი

# ბურთმა ლემანსაც გადაუფრინა

## ჰიდინკის სამქულიანი გეგმა

პირველი გოლი ისეთი გავუშვით, როგორებშიც ჩვეულებრივ მეკარეებს ადანაშაულებენ ხოლმე, ახლა ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ლემანმა ბურთი პირველად თავით გადააგდო.

კიდევ, ბოლო ორ შეხვედრაში ჩვენი მინუსი ის გახლდათ, რომ დაწინაურების შემდეგ მეტოქის შანსები კიდევ ერთი გოლით იქვე არ მოვკალით.

ამიერიდან, ვინ გავა ჩვენი ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე უცნობია“.

**რუსენბორგი 1:2 პსვ ეინდჰოვენი**

**0:1 ფარფანი (26), 1:1 სტორფლორი (42), 1:2 დე იონგი (85)**

**რუსენბორგი:** ე. იონსენი, რასელი, რისეტი, ჰოფტუნი, სტენსაასი, სტრანდი, სოლი, ვინსნესი, ჰელსტადი (ბრაატენი 65), ფ. იონსენი (ბრატბაკი 83), სტორფლორი

**მწვრთნელი:** ოლა-ბი რისე

**პსვ ეინდჰოვენი:** გომეში, ლუსიუსი, კოკუ, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, ფოგელი, ჯ. დე იონგი, ვენეგორ ოფ ჰესელინკი (სიბონი 90), ფარფანი (ბესლი 82)

**მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი

**გაფრთხილება:** პარკი, რისეტი, პარკი

**გაძევება:** პარკი (90)

**მსაჯი:** ალან სარსი (საფრანგეთი)

**20 950 მაყურებელი**

„პსვ ეინდჰოვენის“ მწვრთნელი გუს ჰიდინკი სტუმრად მოპოვებული წარმატებით უკიდურესად კმაყოფილი დარჩა. ანგარიში ჰოლანდიური გუნდის პერუელმა თავდამსხმელმა ჯეფერსონ ფარფანმა გახსნა, მაგრამ ნორვეგიელებმა, კერძოდ კი ოივინდ სტორფლორმა, პირველ ტაიმს დასრულება არ აცადეს, ისე გაქვითეს ანგარიში. ამის მერე შეხვედრის ბოლო გოლს ძალიან დიდხანს ლოდინი დასჭირდა და მხოლოდ საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე შეაგდო ჯორჯ დე იონგმა სტუმრების გამარჯვებისა.

გუს ჰიდინკი: „ძალიან გამახარა შედეგმა. ეს ჩვენი მეორე გამარჯვებაა, უკვე ექვსი ქულა გვაქვს. პირველ ტაიმში რამდენიმე ნახევარმომენტიც გვქონდა და გოლიც გავიტანეთ, მაგრამ „რუსენბორგი“ არ დაგვნებდა და ანგარიში გაათანაბრა კიდეც. შესვენების შემდეგ ბევრი მომენტი არ გვქონდა, მაგრამ ერთი, გადამწყვეტი გოლის გატანა კი მოვახერხეთ.

დაცვაშიც ძალიან მომეწონა ჩვენი თამაში, კარგი იყო მეკარეც და საერთოდაც, ფეხბურთელებმა წინასწარ მოლაპარაკებულ გეგმას ბოლომდე მისდიეს.“

ოლა-ბი რისე, „რუსენბორგის“ მწვრთნელი: „იმედი გაგვიცრუვდა. დაცვაში ორი უხეში შეცდომა დავუშვით და ორივე შემთხვევაში გოლი გაგვიტანეს. მეტოქეს ბევრი მომენტი არ ჰქონია, მაგრამ რაც ჰქონდა, გამოიყენა. ისინი ძალიან დისციპლინირებულნი იყვნენ და კონტრშეტევების საშუალებას არ გვაძლევდნენ“.

როარ სტრანდი, „რუსენბორგის“ და ნორვეგიის ნაკრების ფეხბურთელი: „ახლა ვფიქრობ, რომ ჯგუფიდან გასვლა გაგვიჭირდება“.

**პაატა ძიძია** [sic: printed ბაპუნა? see below]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| რუსენბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

IV ტური: 2 ნოემბერი

**პსვ ეინდჰოვენი — რუსენბორგი**

**არსენალი — პანათინაიკოსი**

## G ჯგუფი

# სასწაული და საშინელი

## ვერდერმა მეორედ შემოაბრუნა

**ვალენსია 1:5 ინტერი**

**0:1 სტანკოვიჩი (47), 0:2 ვიერი (49), 1:2 აიმარი (73), 1:3 ვან დერ მეიდე (76), 1:4 ადრიანო (81), 1:5 კრუზი (90)**

**ვალენსია:** კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა (კორადი 66), დ. ნავარო, კარბონი, რუფეტე (ფიორე 82), ბარახა, ალბელდა, აიმარი, ანგულო, დი ვაიო

**მწვრთნელი:** კლაუდიო რანიერი

**ინტერი:** ფონტანა, კორდობა, ბურდისო (ხ. ძანეტი 46), მატერაცი, ფავალი, ემრე, კამბიასო, ვერონი, სტანკოვიჩი, ადრიანო (ხ. კრუზი 83), ვიერი (ვან დერ მეიდე 75)

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**გაფრთხილება:** ანგულო, ვერონი, კურო ტორესი, ფავალი, კარბონი

**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია)

**44 000 მაყურებელი**

მერე რა და როგორ იქნება არ ვიცით, ჯერჯერობით კი ლიგის ყველაზე შთამბეჭდავი გუნდი მილანის „ინტერია“.

„მესტალიაზე“ პირველი ტაიმის ბალანსი მეორე ტაიმის დაწყებისთანავე დაირღვა. ორწუთიანი ინტერვალით დეიან სტანკოვიჩმა და კრისტიან ვიერიმ თანაფარდობა დაარღვიეს, მაგრამ იმ დროისთვის მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, თამაში ასეთი ანგარიშით თუ დამთავრდებოდა. ეს ვარაუდი პაბლო აიმარმა განამტკიცა კიდეც, როცა ერთი ბურთის გაქვითა შეძლო და ხალხს იმედი გაუჩნდა, „ვალენსია“ თამაშის შემობრუნებას შეძლებსო.

ამ იმედს აზრი რომ არ ეწერა, აიმარის გოლიდან სამ წუთში გამოაშკარავდა ვან დერ მეიდეს მესამე გოლით, რამაც მასპინძლები საბოლოოდ გატეხა და მათ კარში კიდევ ორი გოლი გავიდა.



REUTERS

ვალენსია — ინტერი. იტალიელთაგან კვლავ ადრიანომ (მარჯვნივ) გაიბრწყინა

ახლა გოლებზე უფრო დაწვრილებით ვთქვათ. სტანკოვიჩმა ფავალის ჩაწოდებულს თავი დაჰკრა და ზედა კუთხეში შეაგდო. ვიერიმ ადრიანოს პასი გამოიყენა. ვან დერ მეიდემ ამადეო კარბონი დაიბრიყვა და ისე შეაგდო. მერე ადრიანოს ჯერი დადგა, ვისაც საგოლე პასი ხავიერ ძანეტიმ მისცა, ბოლო კი კრუზის ანგარიშზეა, რომელსაც პირველი გოლის გამტანმა სტანკოვიჩმა მისცა დიდებული პასი.

„ვალენსიასთვის“ ბოლო ათ საშინაო საევროთასო შეხვედრაში ეს პირველი მარცხი იყო.

„საშინელებმა დაგვემართა — თქვა ნამატჩევს ვალენსიელთა კაპიტანმა დავიდ ალბელდამ — ალბათ ცოტა დრო დაგვჭირდება გონს მოსასვლელად, მერე კი ისევ გამარჯვებისთვის უნდა განვეწყოთ და ჯგუფიდან გავიდეთ“

**ანდერლეხტი 1:2 ვერდერი**

**1:0 ვილჰელმსონი (26), 1:1, 1:2 კლასნიჩი (36, 59)**

**ანდერლეხტი:** ზიტკა, კომპანი, დე ბუკი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ჰასი (იაშჩუკი 67), ბასეჯიო, ერე (ლოვრე 64), ზეტერბერგი, დინდანე, მ. მპენზა

**მწვრთნელი:** უგო ბროოსი

**ვერდერი:** რაინკე, სტალტერი, პასანენი, ისმაელი, შულცი, ერნსტი, ბაუმანი, მიკუ, მანინი, კლოზე (ნ. ვალდესი 75), კლასნიჩი (ლაგერბლომი 86; ბანეცკი 90)

**მწვრთნელი:** თომას შააფი

**გაფრთხილება:** ისმაელი, სტალტერი, ვილჰელმსონი, შულცი

**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

**25 000 მაყურებელი**

„ვერდერის“ ფორვარდმა ივან კლასნიჩმა ორი გოლით დაამწუხრა „ანდერლეხტი“, რომელიც იგებდა თამაშს და მაინც ვერ მოიპოვა პირველი სალიგო ქულა. კლასნიჩის გოლების მერე ბელგიელები დიდი მონდომებით კი მიაწყდნენ მეტოქის კარს, მაგრამ ველარაფერს გახდნენ. და რაკი „ვერდერი“ აგებდა და მაინც მოიგო, ხალხმა უმალ გაიხსენა ძველი ამბავი თამაშის საარაკო შემობრუნებისა, როცა 1993 წელს, ლიგის ჯგუფურსავე ეტაპზე „ანდერლეხტმა“ პირველი ტაიმი 3:0 მოუგო „ვერდერს“, თამაში კი მაინც გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა, 5:3.

ამ ოთხშაბათს მატჩში ანგარიში 26-ე წუთზე გაიხსნა. ზეტერბერგმა ბრემენელთა დაცვა გაარღვია და ესტაფეტა ვინსენ კომპანის გადაულოცა. ბელგიელთა ცენტრალურმა მცველმა, შეტევაში რომ ჩართულიყო, უზადო პასი გაუჭრა კრისტიან ვილჰელმსონს. ამან კი კარი დალაშქრა.

გოლი კი გაიტანა, მაგრამ „ანდერლეხტმა“ მეტოქის მოხრჩობა ვერ შეძლო და მისმა დაწინაურებამ მხოლოდ ათ წუთს გასტანა. მეკარე ჟიტკა მიროსლავ კლოზეს შეტევის ჩასაშლელად გამოვარდა, გერმანელმა კი კლასნიჩს გადააწოდა და ანგარიშიც გათანაბრდა.

„ვერდერმა“ იგრძნო, რომ თამაშის მოგებაც შეიძლებოდა და მეორე ტაიმში მეტი ძალისხმევით შეუტია. ერთი ასეთი შეტევა, რომლის მოქმედი პირნი კლოზე და მიკუ იყვნენ, ბურთის უმეთვალყურეოდ მიტოვებულ კლასნიჩთან მიგორებით და „ვერდერის“ მეორე გოლით დასრულდა.

„ანდერლეხტმა“ მხოლოდ ამის მერე გამოაჩინა ფხა, რასაც ბრემენელთა მოშვებამაც შეუწყო ხელი. მპენზას და დინდანეს რამდენიმე მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა.

უგო ბროოსი, „ანდერლეხტის“ მწვრთნელი: „თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ, მაგრამ ვერ ამიხსნია, რა დაგვემართა პირველი გოლის მერე, ახლა ისღა დაგვრჩენია, მესამე ადგილისთვის ვიბრძოლოთ, თუმც ვაღიარებ, რომ ამისი შანსი არცთუ დიდი გვაქვს“.

ბრემენელთა მწვრთნელმა თომას შააფმა კი თქვა, უთუოდ უნდა გავიდეთ ჯგუფიდანო.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| ვერდერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

IV ტური: 2 ნოემბერი

**ვერდერი — ანდერლეხტი**

**ინტერი — ვალენსია**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## F ჯგუფი

# საქიმ შეცდომა და შევჩენქო გაამოიცნო

**მილანი 1:0 ბარსელონა**

1:0 შევჩენკო (31)

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (სერჟინიო 83), შევჩენკო (კრესპო 89), ინძაგი (ამბროზინი 76)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მარკესი, რონალდინიო, დეკო, ეტოო (ინიესტა 69), ლარსონი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: პუიოლი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

76 502 მაყურებელი

„**წაგაგეთ,** მაგრამ „სან სიროს" თავაწეულნი ვტოვებთ. ჩემმა გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. დარწმუნებული ვარ, ეს მარცხი ფსიქოლოგიურად არ გაგვტეხს. „მილანთან" კიდევ ერთი დუელი, ამჯერად ჩვენთან, „კამპ ნოუზე" გველის და შევეცდებით, რევანში ავიღოთ. შესაძლოა, ის ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, როგორიც გვჩვევია, მაგრამ ბიჭების მაინც კმაყოფილი ვარ" — თქვა ნამატჩევს ფრანკ რაიკარდმა, „ბარსელონას" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა.

კოლეგას დაეთანხმა მისი მეგობარი და ერთ დროს თანაგუნდელი კარლო ანჩელოტიც. „მილანის" თავკაცმა რაიკარდი შეაქო, სწორედ მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, „ბარსელონამ" თავისი სათამაშო სტილი რომ დაიბრუნაო.

თავისიანთაგან კი ანჩელოტიმ დაცვის ბრწყინვალე თამაში გამოარჩია: „ოთხივე კედელივით იდგა, პოზიციური შეცდომა არც ერთს არ დაუშვია და მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე".

ერთი სიტყვით, დიდმა მატჩმა მოლოდინი გაამართლა. იყო მომენტები, ძელ-ხარიხას რახარუხი, ბრძოლა, დაძაბულობა, მწვრთნელთა ტაქტიკური დუელი და იყო, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთის უპირველესი მშვენება, გოლი. ერთი, მაგრამ გადამწყვეტი...

თუ გუშინწინდელ „სარბიელში" არიგო საკის ინტერვიუ წაიკითხეთ, მისი ნათქვამი ფრაზაც გაგახსენდებათ: ოთხშაბათის შეხვედრაში ყველაფერს ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა ან საბედისწერო შეცდომა გადაწყვეტსო.

ეს საბედისწერო შეცდომაც „ბარსას" დაცვამ და მეკარემ 31-ე წუთზე დაუშვეს: კაფუს ფლანგური ჩაწოდებისას მეკარე ვიქტორ ვალდესი გამოსვლისას შეცდა, ანდრეი შევჩენკომაც ჰაერში მეურვე ჟულიანო ბელეტი დაჩაგრა და თავურით გამარჯვებისა შეაგდო.

მაგრამ მანამდე იყო მომენტი, რომელსაც შეეძლო ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინა. მე-19 წუთზე დიდასთან პირისპირ დარჩენილ შვედ ჰენრიკ ლარსონს ახლოდან ხარიხასთვის რომ არ გაერტყა...

უჩვეულოდ პასიურნი იყვნენ დეკო და რონალდინიო და ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მათი თამაშიდან გამოთიშვა სწორედ „მილანის" შუახაზელთა დამსახურებაა და მეტი არაფერი.

„მილანმა" არაიტალიური ფეხბურთი ითამაშა, გოლის გატანის მიუხედავად დაცვაში არ ჩამჯდარა და პირიქით, შეძლებისდაგვარად იქით უტევდა მეტოქეს. ხოლო როცა იგრძნო, რომ გამარჯვებისთვის 1:0-ც საკმარისი იყო, მერელა გადაერთო იტალიურ სტილზე.

აი, აქ კი გამოცოცხლდა „ბარსელონა". თამაშის ბოლო ნახევარი საათი კატალონიელებმა „შავ-წითლები" საჯარიმოს მიამწყვდიეს და დიდას დაბომბვაც დაიწყო. ბრაზილიელმა მეკარემ თანამემამულე რონალდინიოს დაბალი გასროლილი სასწაულებრივად მოიგერია კუთხურზე და როცა უკვე მსაჯის დამატებული წუთებიც იწურებოდა, შეცვლაზე შესულმა ანდრეს ინიესტამ შეაწყვიტა ბურთი ხარიხას.

რონალდინიო: „მილანმა" რამდენადაც მოგვცა საშუალება, ისე ვითამაშეთ. „კამპ ნოუზე" კი, მერწმუნეთ, სულ სხვა მატჩი იქნება".

შევჩენკო: „ძალიან ბედნიერი ვარ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ გადამწყვეტი გოლი გავიტანე. „მილანმა" მოიგო და ესაა მთავარი. საერთოდ, ვატყობ, რომ ასეთი ტენდენცია ჩამოგვიყალიბდა, ძლიერებთან უკეთ ვთამაშობთ და უმეტესობას ვიგებთ. აშკარაა, „ბარსელონა" ძლიან მაგარი გუნდია და მას ყველამ პატივი უნდა ვცეთ, თუმც ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „კამპ ნოუზე" სტატისტად ჩავალთ. ვფიქრობ, უფრო უკეთ იქ ვითამაშებთ".

**გიორგი ვაშაძიძე**



ორი ვარსკვლავის, რონალდინიოსა და შევჩენკოს დუელში მილანელმა იმარჯვა

REUTERS მილანიდან

**შახტარი 3:0 სელტიკი**

1:0, 2:0 მატუზალემი (57, 63), 3:0 ბრანდაო (78)

**შახტარი:** ლაშტუვკა, ბარკაუანი, სტოიკანი, ლევანდოვსკი, რაცი, მატუზალემი, ტიმოშჩუკი, ვუკიჩი, აგაჰოვა (სრნა 82), ვორობეი (ბრანდაო 75), მარიკა (დულიაი 46)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

**სელტიკი:** მარშალი, ბალდე, ვარგა, მაკნამარა (მაკმანუსი 31), აგატი, პეტროვი, ლენონი, ჟუნინიო პაულისტა (მაკგიდი 70), სატონი (უოლესი 46), ჰართსონი, ა. კამარა

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ჰართსონი, ვარგა, ბარკაუანი, ბალდე, ჟუნინიო პაულისტა

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

28 000 მაყურებელი

# მირჩა, მირჩა!

## სელტიკი შახტაში ჩარჩა

**გულზე** ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ველოდით ამ შედეგს? უფრო ზუსტად, ასეთ ანგარიშს? ცხადია, არა და ვინც მას იწინასწარმეტყველებდა, კაციც ეგ ყოფილა.

უნდა ვთქვათ, უკრაინის ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა შოტლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს გა-და-უ-არა.

დონეცკელებმა პირველ ტაიმში რომ ვერაფრით მოუძებნეს გასაღები დევიდ მარშალის კარს, საქმე მეორისთვის გადადეს — ბრაზილიელი ფრანსელინო მატუზალემის დუბლმა და ასევე ბრაზილიელი ბრანდაოს მომაკვდინებელმა გოლმა გლაზგოს „სელტიკი" (ხომ კარგად ჟღერს?) კუდამოძუებული დააბრუნა სამშობლოში.

აკი გაასავსავა ნამატჩევს ხელები „სელტიკის" თავკაცმა მარტინ ონილმა, რაღა ვთქვა, არც ვიცი, ჯერ კიდევ შოკში ვარო.

სამაგიეროდ, გუგუნებდა 28-ათასიანი „შახტარი" — „მირჩა, მირჩა!" ალბათ მიხვდით, დონეცკელთა რუმინელ მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუზეა ლაპარაკი — მატუზალემ, ბრანდაო, მატუზალემ, ბრანდაო...

მაგრამ უკრაინელებს რატომღაც მატჩის უმთავრესი გმირის, თანამემამულის ძახილი თუ გუგუნი გამორჩათ. ანატოლი ტიმოშჩუკზე გვაქვს ლაპარაკი. ეს ნახევარმცველი ჩვეულებისამებრ საყრდენია, მაგრამ გუშინწინ „შახტარის" სული და გული იყო.

ლუჩესკუმ სწორედ ტიმოშჩუკზე გაამახვილა ყურადღება, ანატოლიმ გასაოცრად ითამაშაო.

მოკლედ, „შახტარმა" ამ მოგებით, ჯერ ერთი, გოლების გატანა დაიწყო ლიგაში და ის სამი ქულა შეიმატა, რომელმაც ეგებ უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში წააშველოს ხელი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| შახტარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სელტიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

**IV ტური: 2 ნოემბერი**

**ბარსელონა — მილანი**

**სელტიკი — შახტარი**

# ნამატჩევს



REUTERS მილანიდან

*ევრობოზოლათა გუშინწინდელი ჯახი კარლო ანჩელოტის შეგირდთა გამარჯვებით დასრულდა, თუმც „ბარსამ" მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდო და მცირედი საგოლე უზუსტობა რომ არა, ტიტანთა შერკინებაც ვინძლო სხვა შედეგით დასრულებულიყო.*

*ბრაზილიელმა რონალდინიომ ესპანურ „ლიბრედირექტოს" გული გადაუშალა*

— „ბარსელონამ" წლეულს პირველად წააგო. ეს საბრძოლო განწყობაზე ცუდად ხომ არ იმოქმედებს?

— არა, რადგან იტალიელებთან ღირსეულად დავმარცხდით. მომენტები ჩვენც არანაკლები გვქონდა, მაგრამ...

— და მაინც. ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა?

— დიახ, რა თქმა უნდა, „მილანთან" ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია. ეგაა, „სან სირო" გულნატკენებმა დავტოვეთ და არა თავდახრილებმა.

— ანუ „კამპ ნოუ" „მილანს" რევანშისთვის ელის...

— თავისთავად. „მილანთან" მარცხი რწმენას ვერ შეგვირყევს.

— წაგების მიზეზი რაღა იყო?

— ვერგატანილი გოლი. ორჯერ ხარიხას გავარტყით, შევჩენკომ კი თავისი შანსი ჩინებულად გამოიყენა.

— **მარცხი მარცხად და პოზიტიური რა იყო გუნდის თამაშში?**

— ის, რომ „ბარსას" თავისი სტილი არ შეუცვლია და მთელი შეხვედრის განმავლობაში მაყურებელს ჩვეულებისამებრ შემტევი, ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

— **ახლა პრიმერადივიზონშიც გელით რთული რთული მატჩი. ჯერჯერობით „ბარსელონას" შინაურ ჩემპიონატში არ წაუგია...**

— და, არც უნდა წავაგოთ. „ოსასუნასთან", ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენ მატჩში, მოედანზე ახლაც მოსაგებად გავალთ.

### სამუელ ეტოო

„ვფიქრობ, „სან სიროზე" „მილანს" ვაჯობეთ და წაგებას ნაღდად არ ვიმსახურებდით. ეს მარცხი „ბარსას" შემდგომ თამაშზე გავლენას ვერ იქონიებს. მეორე ტაიმში მატჩის მოგებაც შეგვეძლო. უიმედოდ ნაღდად არ წამოვსულვართ".

### რაფაელ მარკესი

„სულ ცოტა, ფრე მაინც გვეკუთვნოდა. „სან სიროზე" შესანიშნავი მატჩი ჩავატარეთ და იმედია, „კამპ ნოუზე" ორი კვირის მერე უკეთესად ვიბურთავებთ".

### ანდრეს ინიესტა

„იმ მომენტში მთელი სულით და გულით დავარტყი. ბედის ირონიით, ბურთი რატომღაც ხარიხას მოხვდა. შედეგის თაობაზე თანაგუნდელებს ვეთანხმები — ფრე უნდა ყოფილიყო, თუმცა, წაგებას „ბარსასთვის" დიდი ტრაგედია არ მოუტანია, ღირსეულად დავმარცხდით. ახლა კი „ოსასუნასთან" ჯახზე უნდა ვიფიქროთ. ძალიან მიხარია, რომ იტალიაში „მილანზე" კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ".

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## H ჯგუფი

# პარიზელთა ბრავადა პარკ დე პრენსზე


REUTERS პარიზიდან

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი: ბრავო!

**პსჟ 2:0 პორტუ**

**1:0 კორიდონი (30), 2:0 პაულეტა (32)**
**პსჟ: ლეტიზი, არმანი, იეპესი, პიერ-ფანფანი, პიშო, მბამი, ჩანა, როტენი (ბოშკოვიჩი 49), კორიდონი, პაულეტა (ლიუბოია 83), რეინალდო (ე. სისე 73)**
**მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი**
**პორტუ: ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა (ბოსინგვა 76), პეპე, რიკარდუ კოშტა, დიეგო, კოშტინია (კვარესმა 52), მანიშე, კარლოს ალბერტო, მაკკარტი, დერლეი სილვა (პოსტიგა 69)**
**მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი**
**გაფრთხილება: პეპე, მანიშე, პიშო, სეიტარიდისი, ბოსინგვა**
**მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)**
**43 000 მაყურებელი**

დიდი ბრავო! — აი, ასე იძახდა მატჩის შემდეგ პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელი ვაჰიდ ჰოლილჰოჯიჩი. ის ჩინებულ გუნებაზე ბრძანდებოდა, რადგან მისმა შეგირდებმა „პარკ დე პრენსზე" ჩემპიონთა თასის მფლობელი „პორტუ" 2:0 დაამარცხეს და მწვრთნელისგან ეს დიდი ბრავოც დაიმსახურეს. პარიზელებმა გოლები პირველ ტაიმში, ერთმანეთის მიყოლებულ წუთებში გაიტანეს. ეს შარლ-ედუარდ კორიდონმა და პედრო პაულეტამ გააკეთეს, რომელთაგან განსაკუთრებული სილამაზით კორიდონის აკრობატული დარტყმა გამოირჩა.

„პორტუს", კაცმა რომ თქვას, ცუდად არ უთამაშია, უბრალოდ გარკვეული მომენტებში — მაგალითად, ორი გაშვებული გოლის დროს — პორტუგალიელთა დაცვა სადღაც ქრებოდა.

ბედნიერი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი: „ძალიან მიხარია, ფეხბურთელების და გულშემატკივრების ბედნიერებას ვიზიარებ. ბოლო პერიოდში ჩვენ ძალიან ბევრი ვიჯახირეთ და ამიტომაც გვაკრიტიკეს, მაგრამ დღეს ზეიმის დღე დაგვიდგა. ჩემი გუნდის კლასში ეჭვი არასდროს შემპარვია და მართალი რომ ვიყავი, ამაში კიდევ ერთხელ „პორტუსთან" თამაშის მიხედვით დავწრმუნდი. დღეს მთელი მატჩის განმავლობაში ვუტევდით, ხოლო ჩვენს მეკარეს, ლიონელ ლეტიზის ფაქტობრივად საქმე არ ჰქონია. სხვათა შორის, მინდა შეგახსენოთ, რომ ამ ზაფხულის ტრანსფერებს ბევრი გვიწუნებდა, მაგრამ დღეს ისიც კარგად გამოჩნდა, რომ ახალი, ძლიერი გუნდის ასაგებად ჩინებული საფუძველი გვაქვს ჩაყრილი.

მეორე მხრივ, ისე არ გამიგოთ, თითქოს დღევანდელმა გამარჯვებამ თავგზა ამირია და იმას ველარ ვხვდები, რომ მომავალში კიდევ ბევრი სირთულეები. დიახ, ბუნებრივია, ჩვენი პრობლემები ასი პროცენტით არ მოგვარებულა, მაგრამ ერთი დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, სწორ გზაზე ვდგავართ და მინდა დღევანდელი წარმატებისთვის ჩემს ფეხბურთელებს დიდი ბრავო ვუთხრა".

დამარცხება კი, მოგეხსენებათ, ნაირნაირი არსებობს. ხანდახან დამარცხებულებს თავის გამოყოფისა რცხვენიათ, ხანდახან კი პირიქით, სამარცხვინო არაფერია. როგორც „პორტუს" მწვრთნელის, ვიქტორ ფერნანდესის ნათქვამიდან ჩანს, მას სწორედ მეორე განწყობა დაუფლებოდა:

„ჩემს გუნდს ვერაფერს ვუსაყვედურებ, ძალიან კარგად ვითამაშეთ და საგოლე მომენტებიც შევქმენით. სამწუხაროა, რომ გოლი ვერ გავიტანეთ. ცუდი იყო ის, რომ პირველი ტაიმის ორწუთიან მონაკვეთში ჩვენი დაცვა სადღაც გაქრა, რაც საერთოდ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ამის გამო ახლა დიდ კრიტიკას ვერ წამოვიწყებ. ჩვენი მთავარი კოზირი ნახევარდაცვა და თავდასხმაა, ამ რგოლებში კი ყველაფერი კარგად გვქონდა.

„პარი სენ ჟერმენმა" კი ნამდვილად გამაკვირვა, რადგან წლეულს მას ასე ძლიერად ნამდვილად არ უთამაშია. პარიზელები სწრაფად და ტექნიკურად მოქმედებდნენ. დღევანდელ „პარი სენ ჟერმენს" არაფერი ჰქონდა საერთო იმ გუნდთან, რომელმაც ორი კვირის წინ „ჩელსისთან" წააგო.

ახლა ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენთვის მეორე ეტაპზე გასვლა სამწუხაროდ, ძნელი გახდა, მაგრამ ისიც არის, რომ ორი მატჩი შინ გვაქვს, ხოლო მესამე მოსკოვში, სადაც, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გამარჯვება გვმართებს".

**ჩელსი 2:0 ცსკა**

**1:0 ტერი (9), 2:0 გუდიონსენი (45)**
**ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, გალასი, ბრიჯი, სმერტინი (პარკერი 84), ლამპარდი, მაკელელე, დაფი (ჯ. კოული 77), კეჟმანი (ტიაგუ 63), გუდიონსენი**
**მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ**
**ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ოდია, სემაკი (კრაშიჩი 72), დანი კარვალიუ (ლაიზანსი 25), ჟირკოვი, ალდონინი, რახიმიჩი, ვაგნერი (დადუ 60)**
**მწვრთნელი: ვალერი გაზაევი**
**გაფრთხილება: კეჟმანი**
**მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)**
**33 945 მაყურებელი**

„ჩელსის" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ თავისი გუნდით კმაყოფილი დარჩა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლონდონელებმა ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს, არამედ იმიტომაც, რომ გუნდმა ამ წარმატებას მწვრთნელისთვის სასურველი თამაშით მიაღწია, თამაშს აკონტროლებდა.

ლონდონელთაგან გოლები გუნდის კაპიტანმა ჯონ ტერიმ და ეიდურ გუდიონსენმა გაიტანეს, ხოლო მოსკოვის ცსკა-მ რუსი ოლიგარქის, ჩუკოტკის გუბერნატორის გუნდს ვერაფერი დაუპირისპირა.

ჟოზე მაურინიუ: „შედეგმა ძალიან გამახარა, მეორე ტაიმში კი მთელი მატჩის სადავეებს ზედმიწევნით კარგად ვფლობდით. თამაშის ენერგიას მთლიანად ჩვენ ვაკონტროლებდით. აბსოლუტურად ვბატონობდით მარცხენა ფრთაზეც, სადაც მოსკოველები ძლიერები არიან.

შედარებით პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, რადგან ცსკა-მ კარგად დაიწყო შეხვედრა, მაგრამ შემდეგ მთელი თამაში ჩვენი იყო. ცხადია, პრემიერლიგაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ აქ ჯგუფში პირველი ადგილი უნდა მოვიპოვოთ. კიდევ ერთი გამარჯვება ან ორი ქულა და მიზანს მივაღწევთ.

განსაკუთრებით კი მინდა ჩვენი გუნდის მთავარი ფიგურა, მცველი და იმავდროულად ლიდერი ჯონ ტერი შევაქო. მისი ცუდი თამაში უბრალოდ არ მახსოვს, ხოლო მის უკან პეტერ ჩეხი ისე ირჯება, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს შეეფერება".

ცსკა-ს მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა აღნიშნა, რომ მისმა ფეხბურთელებმა ძალიან ლამაზი გოლები გაუშვეს, გუნდის თავდასხმა კი დაიწუნა.

**პაატა ნადარეიშვილი**

**პაპუნა კიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| ცსკა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| პსჟ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| პორტუ | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

IV ტური: 2 ნოემბერი

**პორტუ — პსჟ**
**ცსკა — ჩელსი**


REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ცსკა. დემიენ დაფის შეჩერება რუსებს უჭირდათ

# ნახეთ როგორ აშენდეს...
## რუსეთში იარცევი და ალიაქოთი ერთად დარჩნენ



გეორგი იარცევი და ვიაჩესლავ კოლოსკოვი

პორტუგალიაში 1:7 წაგება ხახვივით შერჩა რუსეთის ნაკრების თავკაც გეორგი იარცევს. ლისაბონური კოშმარის შემდეგ ყველა ელოდა, რომ მწვრთნელი გუდანაბადს აიკრავდა. ამას თითქოს თავად იარცევის სიტყვებიც ადასტურებდა — მე უკვე ყველაფერი გადავწყვიტეო. თუმც რუს გულშემატკივრებს ცივი შხაპი გადაესხათ. გეორგი ბატონი პოსტზე დარჩა.

სამი დღის წინ კოლოსკოვმა იარცევი გააკრიტიკა, მაგრამ მისი წარსული დამსახურებასაც არ დაივიწყა — ამ კაცმა დაშლილი ნაკრები ჩაიბარა და თითქმის უიმედო მდგომარეობიდან ევროპის ჩემპიონატზე გაგვიყვანაო. რუსული ფეხბურთის მამამ ჩეხი იოზეფ ხოვანეცის ნაკრების სათავეში მოსვლაც გამორიცხა, არ ვიცი, საიდან აგორდა ეს ჭორებიო. თუმც, კოლოსკოვისვე თქმით, იგი ყურადღებით აკვირდება ჰოლანდიელი ლუის ვან გაალისა და გერმანელი ოტმარ ჰიცფელდის საქმიანობას... საინტერესოა, რას აკვირდება, როგორ და სად ისვენებენ ეს მწვრთნელები?

გუშინ კი კოლოსკოვ-იარცევის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა შედგა, რის შემდეგაც თავიანთი ნაუბარი ჟურნალისტებს გაუმხილეს.

კოლოსკოვმა რუს მასმედიელებს ამცნო, იარცევი ნაკრებში რჩებაო და ამის შემდეგ მწვრთნელს ღვარძლიან კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა: „ლისაბონური ფიასკო ჯერაც ვერ გამიაზრებია, მაგრამ ყველამ იცოდეთ, მე ნაკრებიდან წასვლისა არ მეშინია. რუსეთის ნაკრების თავკაცობა თბილი სავარძელი კი არა, გახურებული ტაფაა".

| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 863 | ჟილინა-ნიტრა | 1.75 | 4.2 | 2.9 | 1.23 | 1.09 | 1.71 |
| 19:00 | 864 | ტრენჩინი-სლოვანი | 1.7 | 4.2 | 2.9 | 1.21 | 1.07 | 1.71 |
| 19:00 | 865 | კოშიცე-დ'უბნიცა | 1.1 | 6.5 | 10.0 | 1.0 | 1.0 | 3.93 |
| 19:00 | 866 | სკალიცა-მიკ'ულაში | 1.75 | 4.2 | 2.75 | 1.23 | 1.06 | 1.66 |
| 19:00 | 867 | პოპრადი-ზვოლენი | 2.5 | 4.2 | 2.0 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| | | **ჰოკეი გერმანია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 873 | ინგოლშტადი-დი'უსელდორფი | 1.55 | 4.4 | 3.4 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 21:30 | 874 | ფრანკფ'ურტი-კიოლნი | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 21:30 | 875 | ისერლონი-ჰამბ'ურგი | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 21:30 | 876 | მანჰაიმი-კრეფელდი | 1.4 | 4.5 | 4.5 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| 21:30 | 877 | ვოლფსბ'ურგი-აისბარენი | 2.5 | 4.4 | 1.9 | 1.59 | 1.07 | 1.32 |
| 21:30 | 878 | ა'უგსბ'ურგი-კასელი | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 885 | ბერნი-კლოტენი | 1.7 | 4.4 | 2.8 | 1.22 | 1.05 | 1.71 |
| 21:45 | 886 | სერვეტი-ც'უგი | 1.7 | 4.4 | 2.8 | 1.22 | 1.05 | 1.71 |
| 21:45 | 887 | რაპერსვილი-ლანგნა'უ | 1.6 | 4.4 | 3.2 | 1.17 | 1.06 | 1.85 |
| 21:45 | 888 | ცი'ურიხი-ამბრი | 1.95 | 4.4 | 2.4 | 1.35 | 1.07 | 1.55 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5037 | ნორვიჩი-ევერტონი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5038 | ასტონ ვილა-ფულემი | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| 5039 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,45 | 2,8 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,07 |
| 5040 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5041 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5042 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,8 | 2,3 | 6,0 | 1 | 1,38 | 1,66 |
| 5043 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5044 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,95 | 2,2 | 5,6 | 1,03 | 1,44 | 1,57 |
| 5045 | ნიუკასლი-სიტი | 1,95 | 2,2 | 5,6 | 1,03 | 1,44 | 1,57 |
| 5046 | მანჩესტერი-არსენალი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5047 | ატალანტა-კალიარი | 2,6 | 2,0 | 3,8 | 1,13 | 1,54 | 1,31 |
| 5048 | სიენა-იუვენტუსი | 5,3 | 2,15 | 2,0 | 1,52 | 1,45 | 1,03 |
| 5049 | კიევო-რეჯინა | 2,1 | 2,1 | 5,0 | 1,04 | 1,47 | 1,47 |
| 5050 | ლივორნო-ბოლონია | 3,0 | 1,95 | 3,4 | 1,18 | 1,59 | 1,23 |
| 5051 | მესინა-ლეჩე | 2,6 | 2,0 | 3,8 | 1,13 | 1,54 | 1,31 |
| 5052 | პარმა-ლაციო | 2,9 | 1,95 | 3,5 | 1,16 | 1,58 | 1,25 |
| 5053 | რომა-პალერმო | 2,05 | 2,1 | 5,3 | 1,03 | 1,47 | 1,5 |
| 5054 | სამპდორია-ბრეშა | 2,0 | 2,1 | 5,6 | 1,02 | 1,47 | 1,52 |
| 5055 | უდინეზე-ფიორენტინა | 2,35 | 2,0 | 4,6 | 1,08 | 1,55 | 1,39 |
| 5056 | მილანი-ინტერი | 2,9 | 1,95 | 3,5 | 1,16 | 1,58 | 1,25 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5080 | ჰანზა-ბაიერნი | 4.6 | 2.1 | 2.2 | 1.44 | 1.48 | 1.07 |
| 5081 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 2.1 | 2.1 | 5.2 | 1.04 | 1.49 | 1.49 |
| 5082 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.8 | 2.2 | 6.0 | 1.0 | 1.38 | 1.6 |
| 5083 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 2.3 | 2.05 | 4.45 | 1.08 | 1.51 | 1.4 |
| 5084 | არმინია-ჰერტა | 2.85 | 2.0 | 3.3 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 5085 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 3.3 | 2.05 | 2.8 | 1.26 | 1.51 | 1.18 |
| 5086 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.7 | 2.3 | 6.5 | 1.0 | 1.34 | 1.69 |
| 5087 | შალკე-მაინცი | 1.9 | 2.15 | 5.6 | 1.0 | 1.41 | 1.55 |
| 5088 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 4.1 | 2.05 | 2.4 | 1.25 | 1.51 | 1.1 |
| 5070 | ალბასეტე-ბილბაო | 2.8 | 2.0 | 3.4 | 1.16 | 1.53 | 1.25 |
| 5071 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.55 | 2.6 | 7.1 | 1.0 | 1.27 | 1.9 |
| 5072 | ხეტაფე-ბეტისი | 2.7 | 2.0 | 3.6 | 1.14 | 1.54 | 1.28 |
| 5073 | ლევანტე-ესპანიოლი | 2.55 | 2.0 | 3.5 | 1.12 | 1.47 | 1.27 |
| 5074 | მალაგა-დეპორტივო | 3.0 | 2.0 | 3.0 | 1.2 | 1.5 | 1.2 |
| 5075 | რეალი-ვალენსია | 2.4 | 2.0 | 4.1 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 5076 | რასინგი-სარაგოსა | 2.8 | 2.05 | 3.2 | 1.18 | 1.49 | 1.24 |
| 5077 | სევილია-ატლეტიკო | 2.5 | 2.0 | 3.5 | 1.11 | 1.45 | 1.27 |
| 5078 | სოსიედადი-მალიორკა | 2.2 | 2.1 | 4.6 | 1.07 | 1.48 | 1.44 |
| 5079 | ვილიარეალი-ნუმანსია | 1.95 | 2.15 | 5.0 | 1.02 | 1.4 | 1.5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5437 | ნორვიჩი-ევერტონი | 1,9 | 1,9 |
| 5438 | ასტონ ვილა-ფულემი | 1,6 | 2,4 |
| 5439 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,2 | 4,0 |
| 5440 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 1,95 |
| 5441 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1,7 | 2,2 |
| 5442 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,35 | 3,2 |
| 5443 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,85 | 1,95 |
| 5444 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,5 | 2,6 |
| 5445 | ნიუკასლი-სიტი | 1,5 | 2,6 |
| 5446 | მანჩესტერი-არსენალი | 1,85 | 1,95 |
| 5447 | ატალანტა-კალიარი | 1,8 | 2,0 |
| 5448 | სიენა-იუვენტუსი | 2,6 | 1,5 |
| 5449 | კიევო-რეჯინა | 1,5 | 2,6 |
| 5450 | ლივორნო-ბოლონია | 1,85 | 1,95 |
| 5451 | მესინა-ლეჩე | 1,8 | 2,0 |
| 5452 | პარმა-ლაციო | 1,85 | 1,95 |
| 5453 | რომა-პალერმო | 1,5 | 2,6 |
| 5454 | სამპდორია-ბრეშა | 1,5 | 2,6 |
| 5455 | უდინეზე-ფიორენტინა | 1,7 | 2,2 |
| 5456 | მილანი-ინტერი | 1,8 | 2,0 |
| 5480 | ჰანზა-ბაიერნი | 2.3 | 1.65 |
| 5481 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 1.7 | 2.2 |
| 5482 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.5 | 2.6 |
| 5483 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 1.7 | 2.2 |
| 5484 | არმინია-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 5485 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 1.95 | 1.85 |
| 5486 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.3 | 3.0 |
| 5487 | შალკე-მაინცი | 1.5 | 2.6 |
| 5488 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 2.1 | 1.75 |
| 5470 | ალბასეტე-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 5471 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.25 | 3.1 |
| 5472 | ხეტაფე-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 5473 | ლევანტე-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 5474 | მალაგა-დეპორტივო | 1.9 | 1.9 |
| 5475 | რეალი-ვალენსია | 1.65 | 2.3 |
| 5476 | რასინგი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 5477 | სევილია-ატლეტიკო | 1.7 | 2.2 |
| 5478 | სოსიედადი-მალიორკა | 1.7 | 2.2 |
| 5479 | ვილიარეალი-ნუმანსია | 1.6 | 2.4 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5137 | ნორვიჩი-ევერტონი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3.8 |
| 5138 | ასტონ ვილა-ფულემი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5139 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 22,0 | 17,0 | 17,0 |
| 5140 | კრისტალ პალასი-ვ.ბრომვიჩი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5141 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5142 | ლივერპული-ჩარლტონი | 2,0 | 10,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5143 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5144 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5145 | ნიუკასლი-სიტი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5146 | მანჩესტერი-არსენალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5147 | ატალანტა-კალიარი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5148 | სიენა-იუვენტუსი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 5149 | კიევო-რეჯინა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5150 | ლივორნო-ბოლონია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5151 | მესინა-ლეჩე | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5152 | პარმა-ლაციო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5153 | რომა-პალერმო | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5154 | სამპდორია-ბრეშა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5155 | უდინეზე-ფიორენტინა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5156 | მილანი-ინტერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4.2 |
| 5180 | ჰანზა-ბაიერნი | 7.0 | 10.0 | 25.0 | 8.0 | 5.0 | 3.4 | 25.0 | 10.0 | 2.5 |
| 5181 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5182 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2.2 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 9.0 |
| 5183 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5184 | არმინია-ჰერტა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 5185 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 5.2 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 5186 | ვერდერი-ნიურნბერგი | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 9.0 |
| 5187 | შალკე-მაინცი | 2.2 | 12.0 | 25.0 | 3.2 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 9.0 |
| 5188 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 5170 | ალბასეტე-ბილბაო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 5171 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.65 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 7.0 | 14.0 | 25.0 | 12.0 | 12.0 |
| 5172 | ხეტაფე-ბეტისი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 5173 | ლევანტე-ესპანიოლი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.2 |
| 5174 | მალაგა-დეპორტივო | 3.7 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 5175 | რეალი-ვალენსია | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 5.0 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5176 | რასინგი-სარაგოსა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 5177 | სევილია-ატლეტიკო | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.3 | 4.4 | 6.3 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 5178 | სოსიედადი-მალიორკა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.7 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5179 | ვილიარეალი-ნუმანსია | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 8.0 | 20.0 | 10.0 | 9.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5537 | ნორვიჩი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ასტონ ვილა-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ჩელსი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | ლივერპული-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ნიუკასლი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | მანჩესტერი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | ატალანტა-კალიარი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | სიენა-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | კიევო-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | ლივორნო-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | მესინა-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | პარმა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5553 | რომა-პალერმო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5554 | სამპდორია-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5555 | უდინეზე-ფიორენტინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5556 | მილანი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5580 | ჰანზა-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5581 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5582 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5583 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5584 | არმინია-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5585 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5586 | ვერდერი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5587 | შალკე-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5588 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5570 | ალბასეტე-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5571 | ბარსელონა-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5572 | ხეტაფე-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5573 | ლევანტე-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5574 | მალაგა-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5575 | რეალი-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5576 | რასინგი-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5577 | სევილია-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5578 | სოსიედადი-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5579 | ვილიარეალი-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5337 | ნორვიჩი-ევერტონი | 1,7 | 1,9 |
| 5338 | ასტონ ვილა-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5339 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,8 | 1,8 |
| 5340 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 5341 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5342 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 5343 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 5344 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |
| 5345 | ნიუკასლი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 5346 | მანჩესტერი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5347 | ატალანტა-კალიარი | 1,65 | 1,95 |
| 5348 | სიენა-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 5349 | კიევო-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 5350 | ლივორნო-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5351 | მესინა-ლეჩე | 1,6 | 2,0 |
| 5352 | პარმა-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5353 | რომა-პალერმო | 1,65 | 1,95 |
| 5354 | სამპდორია-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5355 | უდინეზე-ფიორენტინა | 1,7 | 1,9 |
| 5356 | მილანი-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5380 | ჰანზა-ბაიერნი | 1.6 | 2.0 |
| 5381 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 1.6 | 2.0 |
| 5382 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.6 | 2.0 |
| 5383 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 1.6 | 2.0 |
| 5384 | არმინია-ჰერტა | 1.65 | 1.95 |
| 5385 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 1.6 | 2.0 |
| 5386 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.65 | 1.95 |
| 5387 | შალკე-მაინცი | 1.6 | 2.0 |
| 5388 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 1.65 | 1.95 |
| 5370 | ალბასეტე-ბილბაო | 1.65 | 1.95 |
| 5371 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 5372 | ხეტაფე-ბეტისი | 1.65 | 1.95 |
| 5373 | ლევანტე-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 5374 | მალაგა-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 5375 | რეალი-ვალენსია | 1.6 | 2.0 |
| 5376 | რასინგი-სარაგოსა | 1.65 | 1.95 |
| 5377 | სევილია-ატლეტიკო | 1.65 | 1.95 |
| 5378 | სოსიედადი-მალიორკა | 1.65 | 1.95 |
| 5379 | ვილიარეალი-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5237 | ნორვიჩი-ევერტონი | 1,7 | 1.9 |
| 5238 | ასტონ ვილა-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5239 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,9 | 1.7 |
| 5240 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 5241 | ტოტენჰემი-ბოლტონი | 1,7 | 1.9 |
| 5242 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,8 | 1.8 |
| 5243 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,7 | 1.9 |
| 5244 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,8 | 1.8 |
| 5245 | ნიუკასლი-სიტი | 1,85 | 1,75 |
| 5246 | მანჩესტერი-არსენალი | 1,7 | 1.9 |
| 5247 | ატალანტა-კალიარი | 1,7 | 1.9 |
| 5248 | სიენა-იუვენტუსი | 1,7 | 1.9 |
| 5249 | კიევო-რეჯინა | 1,7 | 1.9 |
| 5250 | ლივორნო-ბოლონია | 1,7 | 1.9 |
| 5251 | მესინა-ლეჩე | 1,9 | 1.7 |
| 5252 | პარმა-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 5253 | რომა-პალერმო | 1,85 | 1,75 |
| 5254 | სამპდორია-ბრეშა | 1,75 | 1,85 |
| 5255 | უდინეზე-ფიორენტინა | 1,7 | 1.9 |
| 5256 | მილანი-ინტერი | 1,9 | 1.7 |
| 5280 | ჰანზა-ბაიერნი | 1.95 | 1.65 |
| 5281 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 2.0 | 1.6 |
| 5282 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2.0 | 1.6 |
| 5283 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 2.0 | 1.6 |
| 5284 | არმინია-ჰერტა | 1.9 | 1.8 |
| 5285 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 5286 | ვერდერი-ნიურნბერგი | 2.3 | 1.5 |
| 5287 | შალკე-მაინცი | 2.0 | 1.6 |
| 5288 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.75 |
| 5270 | ალბასეტე-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 5271 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.95 | 1.65 |
| 5272 | ხეტაფე-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 5273 | ლევანტე-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 5274 | მალაგა-დეპორტივო | 1.65 | 1.95 |
| 5275 | რეალი-ვალენსია | 1.8 | 1.8 |
| 5276 | რასინგი-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 5277 | სევილია-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 5278 | სოსიედადი-მალიორკა | 1.75 | 1.85 |
| 5279 | ვილიარეალი-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |



შოთა ხაბარელმა ნაკრები „საგარეჯოში“ შემოიკრიბა

# იავარჰყოთ იავარა!

## საგარეჯო ევროპას დაუდარაჯდა

*მომავალი სეზონიდან ქართველი ძიუდოისტები საკუთარი ქვეყნის კლუბის სახელით ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გავლენ და შეეცდებიან, ქართული ძიუდოს ისტორიაში ახალი, ლამაზი ფურცელი ჩაწერონ. სულ ახლახან დაფუძნებულმა „საგარეჯომ“ უცხოურ კლუბებში გაფანტული ლეგიონერები შემოიკრიბა და ისეთი გუნდ შეიკრიბა, მეტოქეს თვალი დაუდგება. კლუბის მთავარ მწვრთნელთან, საქართველოს ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელთან გუშინ „საგარეჯოს“ მომავალზე ვისაუბრეთ*

— საკლუბო ჩემპიონატზე მონაწილეობის განაცხადი უკვე გააგზავნეთ?

— ჯერ არა, მაგრამ ახლო მომავალში გავაგზავნით. ეს არც ისე საჩქარო საქმეა.

— წლევანდელ პირველობაზე რამდენი გუნდი იქნება?

— ეს იანვრის დასაწყისში, საფრანგეთში გასამართ კენჭისყრაზე გაირკვევა. შედგება ოთხი ქვეჯგუფი, სავარაუდოდ, ხუთ-ხუთ გუნდიანი.

— ტურნირი როდის დაიწყება და რა სიხშირით ჩატარდება შეხვედრები?

— პირველი ბრძოლები აპრილში გაიმართება. შემდეგ საკლუბო ჩემპიონატზე შემოდგომამდე შესვენება გამოცხადდება, ვიდრე სანაკრებო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები არ ჩამთავრდება.

— შემოდგომაზე კი წლევანდელივით საუკეთესო ოთხეულის ფინალური ეტაპი გაიმართება...

— ჯერ ამაზე დაწვრილებით საუბარი შეუძლებელია. წლეულს ასე იყო, მაგრამ არ გამოვრიცხავ მომავალი სეზონისთვის რამე შეიცვალოს. ახალ დებულებას მალე გამოგვიგზავნიან.

— „საგარეჯოს“ შემადგენლობა უკვე ცნობილია?

— რა თქმა უნდა. „საგარეჯოს“ ღირსებას საქართველოს ნაკრების პირველი ნომრები დაიცავენ.

— სულ რამდენი კაცი იქნება გუნდში?

— თითო წონაში ორი ძიუდოისტი გვეყოლება.

— „საგარეჯოში“ ჯარჯი ზვიადაურის ჩამოყვანის იდეაც გააჩმაურეთ. რამდენად რეალურია?

— ჯარჯი ჯერ არც ერთი კლუბის ღირსებას არ იცავს და „საგარეჯოს“ ვარიანტსაც აუცილებლად შევთავაზებთ. იმედია, ხელს არაფერი შეგვიშლის. ზურამ გვითხრა, ეგ საქმე მე მომანდეთო. ასე რომ, ერთად შევეხმიანებით.

— თვითონ ზურას თუ ელაპარაკეთ „აბენსბერგიდან“ წამოსვლაზე?

— ვესაუბრე და ეს საქმე უკვე 99 პროცენტით გადაწყვეტილია.

— შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, ფინალურ ეტაპზე გასვლა არ უნდა გაგვიჭირდეს. თუ არსებობს იმის შანსი, რომ გადამწყვეტი რაუნდი თბილისში ჩატარდეს?

— მართლა მშვენიერი იქნებოდა, მაგრამ ესეც კენჭისყრამ უნდა დაადგინოს.

— სამი წელია, საკლუბო გვირგვინს რუსული „იავარა ნევა“ იხვეჭს. ამ შემადგენლობით რამდენად რეალურია მისი დამარცხება?

— სანქტ პეტერბურგის გუნდის შემადგენლობას კარგად ვიცნობ და გულწრფელად გეტყვით, „საგარეჯოში“ გაწევრიანებულ ბიჭებს ყველა რუსი კონკურენტი გაუმწარებიათ სხვადასხვა ტურნირზე. ასე რომ, „იავარა ნევა“ სულაც არაა უძლეველი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# წინ ვერავინ დაგვიდგება!

## ზვიადაური ზვიადაურს გვპირდება



ზურაბ ზვიადაური „აბენსბერგიდან“ მოდის

**„აბენსბერგთან“** კონტრაქტი მიმთავრდება და რაც უნდა შემომთავაზონ, აქ მაინც აღარ დავრჩები — გვითხრა გუშინ გერმანიაში მოვარჯიშე ზურაბ ზვიადაურმა — მომავალ სეზონში საკლუბო ჩემპიონატზე აუცილებლად „საგარეჯოს“ სახელით უნდა გამოვიდე და საკლუბო თასის საქართველოში ჩამოტანაში ჩემი წვლილიც შევიტანო.“

ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გერმანული „აბენსბერგის“ სახელით ახლახან ევროპულ ბრინჯაოს დაეუფლა, 30 ოქტომბერს კი ბუნდესლიგის ფინალსაც მოილევს და საქართველოში დაბრუნდება. ზურას „საგარეჯოში“ ბიძაშვილის ჯარჯი ზვიადაურის ჩამოსვლაზეც დავეკითხეთ და დამაიმედებელი პასუხიც მივიღეთ:

„ჯარჯის „აბენსბერგში“ ჩამოსვლაში უნდა დავხმარებოდი, მაგრამ ქართული კლუბის შექმნის შემდეგ გერმანული ვარიანტი ჩემთვისაც კი გამოვრიცხე და მით უმეტეს მისთვის. როგორც თვითონ მითხრა, მწვრთნელის მხრიდან პრობლემა ექმნება, თორემ „საგარეჯოს“ სახელით ჭიდაობის დიდი სურვილი აქვს. თბილისში დაბრუნებისთანავე ამ საქმეს მივხედავ და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მოგვარდება. ჯარჯის გვერდით საბრძოლო შემართება მეც და ბიჭებსაც, რა თქმა უნდა, მეტი გვექნება და წინ ვერავინ დაგვიდგება.“



# ბურთი მოიცდის

## ნაცვლიშვილი ვარჯიშს იწყებს



**ხანგრძლივი** უქმობის შემდეგ დღეიდან საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი ვარჯიშს შეუდგება, თუმც სანამ ბურთს დაიჭერდეს ხელში, კიდევ დიდ ხანს მოუწევს ცდა. მისი ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ ასე იოლად მოედანს ვერ დაუბრუნდება.

„ხვალიდან ვიწყებ რეაბილიტაციის კურსს. არ ვიცი, ეს რამდენ ხანს გაგრძელდება. სერიოზულ დატვირთვებზე ჯერ ლაპარაკიც ზედმეტია, მხოლოდ მსუბუქად ვიძუნძულებ და აუზზე ვივლი“ — გვითხრა გუშინ ვახტანგ ნაცვლიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ნაცვლიშვილმა გასულ გაზაფხულზე მოედანზე შეტაკებისას ფილტვი გაიხეთქა. ასეთ მდგომარეობაში მან მოედანზე რამდენიმე წუთი დაჰყო და „დიჟონს“ გამარჯვებაში დაეხმარა, მაგრამ თამაშიდან გასულს სუნთქვა შეეკრა და სასწრაფოდ ჰოსპიტალში გააქანეს. მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო და თბილისში ჩამოსული სასწრაფოდ საფრანგეთში გაბრუნდა საოპერაციოდ. ახლა კი, ოპერაციიდან ორი თვის თავზე ნაცვლიშვილი ჯერ მხოლოდ ძუნძულს იწყებს.

„ვფიქრობ, ბურთით ვარჯიშს აპრილამდე ვერ შევძლებ, მერე კი ფორმის აღსადგენად დამჭირდება კიდევ რამდენიმე კვირა. ძალიან მძიმე ტრავმა მქონდა და ღმერთმა ქნას, ფილტვი სრულფასოვნად აღმიდგეს“ — იმედოვნებს ნაცვლიშვილი.

მსუბუქად ვარჯიშის ნება ვატოს ფრანგმა ექიმებმა დართეს. იგი ახლახან დაბრუნდა დიჟონიდან, სადაც სრულფასოვანი გამოკვლევა ჩაიტარა და როგორც გამოჩნდა, გამოჯანმრთელების პროცესი აღმა მიდის.

**ირაკლი პერტაია**

# დენვერი თავის ბოლოს იტყვის

## ნიკა ცქიტიშვილმა დიპლომატია მოიმარჯვა

**ახლოვდება** 31 ოქტომბერი, დღე, როცა „დენვერ ნაგიტსმა“ უნდა გადაწყვიტოს, ამ სეზონის ბოლოს კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივებს თუ არა ნიკოლოზ ცქიტიშვილს კონტრაქტს.

ასე გადაწყდა შარშანწინ, რომ „დენვერი“ სამი წლით აიყვანდა ცქიტიშვილს და კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივების უფლებაც ექნებოდა. 2002 წლის დრაფტზე „ნაგიტსმა“ მე-5 არჩევანი დაახარჯა პერსპექტიულ ქართველ ფორვარდს და მასზე დიდ იმედსაც ამყარებდა, მაგრამ...



ცქიტიშვილმა აშკარად ვერ გაამართლა დენვერელთაგან მიღებული ავანსი, თუმც კლუბის პრეზიდენტი კიკი ვანდევეი მაინც არ იტეხს იხტიბარს და ქართველის გამობრწყინებას ელოდება. ამის მიუხედავად, ცქიტიშვილი მაინც ფიქრობს, რომ „ნაგიტსი“ მას კონტრაქტს არ გაუგრძელებს. ეს „საიდუმლო“ მან დენვერულ „როკი მაუნთინს“ გუშინწინ გაანდო.

მიუხედავად ამისა, ქართველი დიპლომატიურობას იჩენს და კლუბის პრეზიდენტზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობს: „მე ვიცი, რომ ვანდევეის ძალიან მოვწონვარ. მას სჯერა, რომ ჩემგან კარგი კალათბურთელი დადგება და ამიტომ ვერ მთმობს. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ფეხის ტრავმა მალე მოვირჩინო და საგამოფენო მატჩებში ჩემი ძალა დავამტკიცო.“

**ირაკლი პერტაია**

ხელბურთი

# საქართველოს XV ჩემპიონატი

პირველი წრე. „ბ“ ქვეჯგუფი

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

**ქუთაისი 39:24 სამტრედია**

**ქუთაისი:** ხინგავა, ნიქაბაძე, ბოყოჩაძე (გაიტანა 13 გოლი), მინაძე (10), კუჭუხიძე (6), გობეჯიშვილი (4), დოლაკიძე (3), ცერცვაძე (2), მამასახლისი (1), გოგონაძე, გაბედავა, აბულაძე, შარაშენიძე, მამულაშვილი

**სამტრედია:** კიკნაძე, ბერეკაშვილი, ჯოჯუა (7), ქავზინაძე (7), ჯულაყიძე (4), ხელისუფალი (4), კარაკაშიანი (2), ჭანტურია, ლომსაძე, ხვიჩია, ხარებავა, მოწყობილი, დუნდუა, ნიკურაძე

*მსაჯები:* ელენე არაბული და გიორგი ბროლაძე

**საუ-მამული 46:25 ბათუმი**

**საუ-მამული:** რობაქიძე, ჭელიძე (12), წივწივაძე (11), ღალანიძე (6), კობახიძე (5), სიხარულიძე (4), მაისურაძე (4), შონია (3), გილაშვილი (1), ხონელიძე, ბერიკაშვილი

**ბათუმი:** მელაძე, ზ. მეხრიშვილი (11), ურუშაძე (6), ვარშანიძე (3), ნ. მეხრიშვილი (2), გიორგაძე (2), კეკელიძე (1), სიხარულიძე, ი. წიტაიშვილი, გ. წიტაიშვილი, კაცაძე, კონცელიძე, დავითაძე

*მსაჯები:* ელენე არაბული და ვახტანგ ბერიაშვილი

# მაკედონიიდან კარგიც ისმის


[illegible] ფოტო

გიორგი ჭელიძის შეჩერება ბათუმელებისთვის პრობლემა იყო

**გუშინ** არმიელთა დარბაზში ეროვნული პირველობის მორიგი ორი მატჩი გაიმართა. ორივე შეხვედრა „დაგეგმილი“ შედეგით დასრულდა — „ქუთაისმაც“ და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულმაც“ მეტოქეებს „ნოკაუტით“ სძლიეს.

ქუთათურებმა ალექსანდრე ბოყოჩაძის წინამძღოლობით მეორე იოლი მოგება ჩაიწერეს მეზობელ „სამტრედიასთან“, ხოლო წინა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მამულელებმა თითქმის ორმაგი სხვაობით დაჯაბნეს ბათუმელები.

„მამული“ ერთი კვირის წინ მაკედონიაში სკოპიეს „მეტალურგს“ ორჯერ ეთამაშა ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე და სამწუხაროდ, თუმც მოლოდინისამებრ, უზარმაზარი სხვაობით დამარცხდა — 22:43 და 24:43.

მაგრამ მაკედონიასთან კავშირში სასიამოვნო ამბავიც მოხდა: წლეულს ივლისში იტალიის საკურორტო ქალაქ ტერამოს ხელბურთის ფესტივალზე ქართველთა თამაშისას მაკედონიელმა მსაჯებმა თვალი დაადგეს რევაზ ჭანტურიას და ეს შინ დაბრუნებისას „მეტალურგის“ ბოსობას აცნობეს. იმათაც საქმე აღარ გადაუდიათ და 22 წლის „რეაქტიული“ ცაცია ქართველი თავისთან მიიწვიეს. გაფორმდა ორსეზონიანი კონტრაქტი და რეზო, რომელიც აქამდე ერთი წლით უკრაინის ჩემპიონ ზაპოროჟიეს ZTR-ის საკუთრება იყო, ახლა მაკედონიის ვიცეჩემპიონთა ღირსებას დაიცავს.

დღეს კი თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ერთმანეთს შეხვდებიან „საუ-მამული“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის ჭაბუკთა გუნდი, შემდეგ „ქუთაისი“ და „ბათუმი“. თამაშები 12 საათზე დაიწყება.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 2 | 0 | 0 | 70:44 | 4 |
| საუ-მამული | 1 | 0 | 0 | 46:25 | 2 |
| სამტრედია | 0 | 1 | 1 | 53:68 | 1 |
| ბათუმი | 0 | 1 | 1 | 54:75 | 1 |
| ჭაბუკები | 0 | 0 | 1 | 20:31 | 0 |

ჩოგბურთი

# მადრიდში ესპანელი გაწყდა

## დენტმა ოლიმპიური შური იძია

**მასტერსის სერია**

მადრიდი

ხელოვნური ბალახი

საპრიზო 2,425 მილიონი €

**მეორე წრე**

**ტიმ ჰენმანი (1, ბრიტანეთი)** — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:4, 6:2; **მარატ საფინი (3, რუსეთი)** — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:5, 6:7 (5:7), 6:3; **ტაილორ დენტი (აშშ)** — ნიკოლას მასუ (5, ჩილე) 6:3, 3:6, 6:3; **ლუის ორნა (პერუ)** — ხუან კარლოს ფერერო (6, ესპანეთი) 6:3, 6:1; **იოახიმ იოჰანსონი (7, შვედეთი)** — გილერმო კანიასი (არგენტინა) 7:6 (7:3), 7:5; **ტომი რობრედო (8, ესპანეთი)** — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 3:6, 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)** — დომინიკ ჰრბატი (10, სლოვაკეთი) 6:4, 7:6 (7:4); **ტომი ჰაასი (გერმანია)** — ირჟი ნოვაკი (11, ჩეხეთი) 6:1, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)** — რაინერ შუტლერი (13, გერმანია) 6:3, 6:0; **ვინს სპედია (14, აშშ)** — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:3; **შტეფან კუბეკი (ავსტრია)** — ფერნანდო გონსალესი (15, ჩილე) 6:1, 3:6, 7:6 (7:5); **პარადორნ შრიჩაფანი (16, ტაილანდი)** — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:3

ეს დღე მასპინძლებისთვის ძალზედ უიღბლო და მარცხიანი გამოდგა — მესამე წრეს მათგან მხოლოდ მერვე ნომრად განთესილი ტომი რობრედო და ფერნანდო ვერდასკო შერჩნენ, დანარჩენებს კი ნაადრევად მოუხდათ ჩოგნების დაშალითება.

ხუან კარლოს ფერერომ წლეულს ლამის ყველგან და ყველაფერი დათმო და — სამწუხაროდ — უკუღმა დატრიალებული ჩარხის წალმა შეტრიალება ვერც შარშან მოგებულ მშობლიურ მასტერსობაზე მოახერხა. აგრესიულად მოჩოგნავე პერუელმა ლუის ორნამ მას ისე დამაჯერებლად სძლია, როგორც მისთვის საზეო წლებში ვე[illegible] მე-ორე სეტის დასაწყისში [illegible] კოჭი გადაიბრუნა და მატჩს მხოლოდ ნააქიმევს მიუბრუნდა.

იძლივნენ საჩოგბურთო ზენიტს გადაცდენილნიც — ალექს კორეჩა და ალბერტ კოსტა. პირველს მე-16 ნომრად განთესილი პარადორნ შრიჩაფანი გასცდა, პირველ წრეში ირაკლი ლაბაძის მძლეველმა კოსტამ კი ჩოგანი ტურნირის მთავარგანთესილ ტიმ ჰენმანის წინაშე მოკაკვა.

ეს ჰენმანის მე-40 საამსეზონო გამარჯვება იყო და აქვე გაცნობებთ, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში 40-გამარჯვებიან თამასას ის უკვე მერვეჯერ შესწვდა.

ადგილობრივი ქომაგები გააწბილეს ჭაბუკებმაც — 18 წლის რაფაელ ნადალი თავისზე ათი წლით უფროს ამერიკელ ვინს სპედიასთან დამარცხდა, წინა კვირას ვენაში კარიერის პირველი ტიტულის მომხვეჭმა ფელისიანო ლოპესმა კი მარატ საფინის დასათრგუნი ილაჯი ვეღარ მოიძია. ეს არც იყო გასაკვირი, რაკილა ერთკვირიანი ბუქნაობით დაქანცულ ლოპესს საფინთან შეხვედრის წინა დღეს კიდევ ერთი სამსეტიანი ბრძოლა გადახდა აყლაყუდა ხორვატ ივო კარლოვიჩთან. სხვათა შორის, ეს საფინისა და ლოპესის მესამე შეხლა იყო და რუსმა მხოლოდ პირველად იმარჯვა. საამისოდ მას მეტოქის წილი კორტის 17 ეისით აოხრებაც დასჭირდა.

სხვაფრივ კი გამორჩევას იმსახურებს ტაილორ დენტის მიერ ათენის ოლიმპიადის მეოქროვის, ჩილელი ნიკოლას მასუს დამარცხება. ეს იმიტომ, რომ — ეგებ არც თქვენ დაგვიწყებიათ — ოლიმპიადის ნახევარფინალში მასუმ სწორედ ეს ჯანიანი იანკი ბიჭი მოდრიკა.

**ლევან ძელაურაძე**

რაგბი

# ღმერთო, მიეც ჯონის ჯანი!

## ვარდს ეკალი მოტყდა

**ნოემბერი** ახლოვდება და მთელი სარაგბო ელიტა ტესტ-მატჩებისათვის ემზადება. ავსტრალია ევროპის დასალაშქრად მოიწევს, სადაც მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისთანაც მოუწევს გაჯიბრება, მის თანაკუნძულელ შოტლანდიასთანაც და ამათ ძირძველ მტერ-მოყვარე საფრანგეთთანაც. ფრანგებს თავის პრობლემები აქვთ, საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის მისაღებად ჩემპიონატში მონაწილე ლეგიონერების გაშვება ადარდებთ. ინგლისელებს კი შესუსტებული შემადგენლობით მოუწევთ სახელის დაცვა.

მოკლედ, ყველას თავის პრობლემები აქვს და რადგანაც მსოფლიოს ჩემპიონები არიან, მოდით, ინგლისით დავიწყოთ.

გეხსომებათ, ორიოდ კვირის წინ ვწერდით, ახლად მომჯობინებულმა და აწ უკვე ინგლისის ნაკრების კაპიტანი ჯონი უილკინსონი ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში დაშავდა, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ჯონიმაც გულშემატკივარი გაამხნევა, ნოემბრის ტესტ-მატჩებში კი არა, უკვე იქითა კვირას „სარასენებთან“ ვითამაშებო. ითამაშა კიდეც. შედეგად კი მხრის ტრავმა მიიღო და ნაკრებსა და კლუბს დაახლოებით ერთი თვით გამოაკლდება. მოკლედ, არ დასცალდა ამ კაცს ინგლისელთა გაძღოლა.

„ნიუკასლ ფალკონზის“ თავკაცი რობ ენდრიუ მაინც იმედიანადაა. ასე ამბობს, ექიმებს ველაპარაკე, იმ ძველი, საშინელი კისრის ტრავმის რეციდივთან არა გვაქვს საქმე და ჯონის ეს ახალი ტრავმა მის კარიერას სერიოზულ ზიანს არ მოუტანსო. ასეა თუ ისე, „ფალკონზს“ 10 ნომერი სჭირდება და ენდრიუ სავარაუდოდ მის ნაცვლად დეივ ველდერს ათამაშებს.

ნაკრების მწვრთნელს ენდი რობინსონს კი ალბათ უფრო მეტად გაუჭირდება უილკინსონის შემცვლელის პოვნა. კაპიტნის სამკლავურის მორგების ყველაზე მეტი იმედი მაინც სტივ ბორსვიკს და მაიკ ტინდალს უნდა ჰქონდეთ, თუმცა მესამე კანდიდატურაც განიხილება — „ვარდების“ თავკაცის მოგვარე ჯეისონ რობინსონი.

არადა, ეს საკითხი ასე მწვავედ არ დადგებოდა, გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრი რიჩარდ ჰილი რომ მწყობრში ყოფილიყო. მას ისედაც ვიცეკაპიტნის როლში მოიაზრებდნენ, მაგრამ ჰილი უილკინსონს „არ ჩამორჩა“ და მუხლის ისეთი ტრავმა აიკიდა, ექვსიდან ცხრა თვემდე რომ უნდა მკურნალობა. ასე რომ, ვერც ნოემბერში დაეხმარება გუნდს და ვერც გაისად ექვსი ერის თასზე.

ახლა ავსტრალიაზე მოგახსენებთ. „ვოლაბებს“ ევროპაში ასეთი ტურნე დაუგეგმავთ: 6 ნოემბერს ედინბურგში შოტლანდიას მიუხდებიან, 13-ში „საყვარულის ქალაქ“ პარიზში ფრანგებს ესტუმრებიან, არც თუ ისე „ჩასახუტებელ-სასიყვარულო“ მისიით. შემდეგ 20 ნოემბერს ისევ შოტლანდიას მოუბრუნდებიან და ახლა უკვე გლაზგოში შეეცდებიან სქოთთა დაჯაბნას. ყველაზე „გემრიელი ლუკმა“ კი 27 ნოემბრისთვის შემოუნახავთ. ამ დღეს ინგლისს უნდა დაეჯახონ.

უილკინსონო მსოფლიო ჩემპიონებს ამ მატჩშიც გაუჭირდებათ და მანამდე კანადაში და სამხრეთ აფრიკაშიც არ ელით იოლი გასეირნება, მაგრამ თურმე არც ავსტრალიელთა საქმენია უკეთ.

„ვოლაბთა“ კაპიტანს, ჯორჯ გრეგანს ერთი სამწუხარო ამბავი შეატყობინეს ექიმებმა. მის შვილს, 4 წლის მაქსს ეპილეფსია დაუდგინდა და საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ყოფილა. ამის გამო გრეგანმა ნაკრების შეკრება გამოტოვა, თუმცა მოგვიანებით მაინც შეუერთდა გუნდს და განაცხადა, ევროპაში მოვდივარ, რადგანაც ბიჭის მდგომარეობა შედარებით სტაბილურია და მინდა ნაკრებს გამოვადგეო. ერთი პირობით დაითანხმეს, რამე რომ მოხდეს და შვილის მდგომარეობა გაუარესდეს, სადაც არ უნდა ვიყო ჩემოდნებს ვალაგებ და სამშობლოში მოვდივარო. მოკლედ, ამ კაცის თამაში საეჭვოა და რომც ითამაშოს, როგორ ფსიქოლოგიურ ფორმაში იქნება, კაცმა არ იცის.

ხოლო გუნდს რომ ვერ დაეხმარება კრის ვაითეკერი, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ამას ტრავმა მიუღია და რამდენ ხანს არ ითამაშებს, ჯერ დასტაქრეიც ვერ ამბობენ.

ახლა საფრანგეთს მიუბრუნდეთ. ფრანგები რაღას უჩივიანო, იკითხავთ. მოგახსენებთ: ეგენი იმას ჩივიან, ამდენი ტესტ-მატჩები რომ დაგიგეგმავთ, ჩვენ აქ ჩემპიონატი გვაქვს გახურებული და ნაკრებში გამოძახებული მორაგბეების გამოშვებით კლუბები გვისუსტდებაო, დროა IRB-მ (რაგბის საერთაშორისო საბჭო), ჩვენი ჩემპიონატისადმი ყურადღება და პატივისცემა გამოამჟღავნოსო.

ყველას თავისი გასჭირვებია...

**ლადო ფულუხიძე**



ჯონი უილკინსონი ისევ დაიშტვრა

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ნუსხა

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS გელზენკირხენიდან


REUTERS ვროცლავიდან

ლევან კობიაშვილს და შოთა არველაძეს გოლიანი დღე ჰქონდათ

**A ჯგუფი**

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 3:0 ჰართსი (შოტლანდია)
1:0 კუიტი (21), 2:0 გოორი (58), 3:0 კუიტი (83)

შალკე (გერმანია) 1:1 ბაზელი (შვეიცარია)
1:0 კობიაშვილი (8), 1:1 მ. დელგადო (82)
შალკე: ფ. როსტი, კ. პოულსენი, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ლინკოლნი (აილტონი 87), უდე კამპუისი, ჰამიტ ალტინტოპი (გ. ვარელა 67), კობიაშვილი, სანდი (ჰანკე 86), ასამოა
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ალტინტოპი, ჰანკე
მსაჯი: იოჰან ვერბისტი (ბელგია)
52 870 მაყურებელი

**B ჯგუფი**

ბილბაო (ესპანეთი) 2:0 პარმა (იტალია)
1:0 გურპეგი (5), 2:0 დელ ორნო (49)

სტიაუა (რუმინეთი) 2:0 სტანდარდი (ბელგია)
1:0 დრაგუტინოვიჩი (71ს.კ.), 2:0 ნიაგა (81)

**C ჯგუფი**

სარაგოსა (ესპანეთი) 2:0 უტრეხტი (ჰოლანდია)
1:0, 2:0 ვილა (77, 82)

დნიპრო (უკრაინა) 3:2 ბრიუგე (ბელგია)
1:0 ვენგლინსკი (17), 1:1 ნ. ჩეპი (37), 1:2 ბალაბანი (44), 2:2 რიკუნი (45), 3:2 ვენგლინსკი (62)

**E ჯგუფი**

ეგალეო (საბერძნეთი) 0:1 მიდლსბრო (ინგლისი)
0:1 დოუნინგი (78)

ლაციო (იტალია) 1:1 ვილიარეალი (ესპანეთი)
0:1 ხოსე მარი (4), 1:1 როკი (84)

**F ჯგუფი**

ოსერი (საფრანგეთი) 0:0 გრაცერი (ავსტრია)

ამიკა (პოლონეთი) 0:5 რეინჯერსი (შოტლანდია)
0:1 ლოვენკრანდსი (18), 0:2 ნოვო (58), 0:3 რიკსენი (69), 0:4 არველაძე (74პ), 0:5 ტომპსონი (89)
რეინჯერსი: შ. კლოსი, ხიზანიშვილი, ენდრიუსი, ბუმსონგი, ვინალი, რიკსენი, მალკოლმი, ბარკი, ლოვენკრანდსი (ნოვო 54), არველაძე (ნამუში 78), პრსო (ს. ტომპსონი 71)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
მსაჯი: ხულიან როდრიგეს სანტიაგო (ესპანეთი)
5 000 მაყურებელი

**G ჯგუფი**

ბევერენი (ბელგია) 1:5 შტუტგარტი (გერმანია)
0:1 კაკაუ (9), 0:2 კურანი (40), 0:3 კაკაუ (53), 0:4 ლამი (77), 1:4 ნდრი (87), 1:5 საბიჩი (90)

ბენფიკა (პორტუგალია) 4:2 ჰერენვენი (ჰოლანდია)
1:0 დოს სანტოსი (14), 2:0 ნუნუ გომეში (32), 2:1 უგური (48), 2:2 პუნტელაარი (53პ), 3:2 კარადასი (73), 4:2 ნუნუ გომეში (78)

**H ჯგუფი**

ალემანია (გერმანია) 1:0 ლილი (საფრანგეთი)
1:0 მეიერი (67)

ზენიტი (რუსეთი) 5:1 აეკ (საბერძნეთი)
0:1 კრასასი (3), 1:1 არშავინი (44), 2:1, 3:1, 4:1 კერჟაკოვი (48, 54, 68), 5:1 დენისოვი (86)

# კობის 25 შოთას 11 მეტრიანი

**ასეთ** გუნდებს „ჯაიანთ კილერებს“, „გიგანტების“ მკვლელებს უწოდებენ და მათ შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყობ, როცა ისინი ვინმე დიდს თავს დაატყდებიან.

უეფას თასზე გერმანიის თასის გავლით მოხვედრილმა მეორე ბუნდესლიგის მყვირალასახელიანმა ბინადარმა, აახენის „ალემანიამ“ ფრანგული „ლილის“ დამარცხებითაც დაიყვირა. თავისთავად „ლილი“ გიგანტი და დევი არაა, მაგრამ საფრანგეთში ბობოქრობს და ფრანგული გუნდები ფეხწამოსაკრავები რომ არ არიან, რამდენიმე საათის წინ ძალზე ახლოდან ვნახეთ.

ამავე, H ჯგუფში მეორე თამაშიც მოულოდნელი შედეგით დასრულდა: სანკტ პეტერბურგში ბერძნული აეკ-ი ფავორიტად ვერ ჩათვლიდა თავს, მაგრამ რუსეთში არც 5 ბურთის გასაშვებად ჩასულა, მაგრამ რას იზამს...

5 ბურთი გაიტანა შოთა არველაძის და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსმაც“ და მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ უცხო გარემოში თამაშობდა, პოლონეთში გლაზგოელთა 5:0 ზეობა ნაღდად არ ჩაითვლება არც მოულოდნელობად და მით უმეტეს, არც სენსაციად. ვრონკის „ამიკა“ ადრეულადვე ჩაიფერფლა. მასპინძლებს უკვე მეორე წუთზე შეექმნათ ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ შტეფან კლოსს ვერ გაუტანეს და მერე მთელი საათნახევარი შანსი არ მისცემიათ. თითქმის ვერ გადადიოდნენ „რეინჯერსის“ ნახევარზე და თუ გადადიოდნენ, ბურთი კლოსამდე ვერ მიჰქონდათ. გერმანელი მეკარეც უსაქმურობისგან და სიცივისგან შეწუხებული უყურებდა, როგორ გადიოდა გოლები მისი კიდევ უფრო შეწუხებული ოპონენტის კარში.

ერთი გოლი, რიგით მეოთხე, „ამიკას“ ჩვენებურმა არველაძემაც შეუგდო. შოთამ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა 73-ე წუთზე და ხუთი წუთის მერე ვალმოხდილმა გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე.

გოლიანი დღე ჰქონდა კიდევ ერთ ქართველ ლევან კობიაშვილსაც, თუმცა მისმა გუნდმა „რეინჯერსივით“ ვერ იყოჩაღა. „შალკეს“ გელზენკირხენში სტუმრობდა შვეიცარიული „ბაზელი“ და კობიაშვილის გოლით თითქმის მთელი თამაში იგებდა. კობის მომავალმა სანაკრებო მეტოქემ, დანიელმა კრისტიან პოულსენმა მეურვეს მოედნის ცენტრში აართვა ბურთი და ჩვენებურს უპასა. ლევანმაც ჯერ წინ წაიწია, შემდეგ შიგნით შეიწია და 25 მეტრიდან დასჭექა „ბაზელის“ კარში. ეს ამბავი მატჩის მე-8 წუთზე მოხდა და მასპინძლები 82-ე წუთამდე იგებდნენ. სტუმრები მარცხისგან მატიას დელგადომ იხსნა, რომელმაც ჯარიმიდან მოხდენილად გადაავლო ბურთი ცოცხალ კედელს და „ბაზელს“ შინ ქულა წააყოლა.

**თემურ ქინქლაძე**


REUTERS ლისაბონიდან

„ჰერენვენის“ მეკარესთან პირისპირ შეყრილ ბენფიკელ აზარ კარადასს გატანა არ გასჭირვებია

**იტალია**
სერია C1/B
გადადებული მატჩი
ფერმანა 2:0 ნაპოლი

**შვედეთი**
თასის
ნახევარფინალი
ჰამარბი 0:2 გიოტებორგი

**ირლანდია**
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
დუბლინი 2:3 შელბურნი

# ძველი ლოტუსი



REUTERS სან პაულოდან

ეს მაგარი სურათია: არავინ იცის, პატარა ედუარდ ბარიკელო მეფორმულე გამოვა თუ არა, მამამის რუბენსს კი მიუყვანია დიად აირტონ სენას ძველ „ლოტუსთან“. ეს მანქანა სან პაულუში, ინტერლაგოსის ტრეკზე დგას, სადაც ამ უქმეებზე დიდი პრიზი გათამაშდება. რუბენს ბარიკელო და „ფერარი“, ცხადია, მზად არიან.

# კრუზი იაპონიის ლიგაში

ტომ კრუზი ახლა იაპონიაშია, სადაც [illegible] ახალი ფილმის რეკლამაშია ჩაბმული. რახან ამერიკელია და რახან იაპონიაში ბეისბოლზე გიჟდებიან, [illegible] გახსნაზეც მიუპატიჟებიათ და ბურთიც უტყორცნინებიათ.



REUTERS ტოკიოდან



REUTERS ლონდონიდან

# წყვილმედლიანი დედოფალთან

ელისაბედ მეორე აბა როგორ გამოსცდებოდა, რომ ბრიტ ოლიმპიელებს არ მიფერებოდა ბუკინგემის სასახლეში. მითუმეტეს კი, კელი ჰოლმსს, რომელსაც მკერდს ორი ოქროს მედალი უმშვენებს.

# ალიანსზე

„ალიანს არენა“ ახალი და დიდებული სტადიონი იქნება მიუნხენში. მის სანახავად გერმანიის პრეზიდენტი ჰორსტ კოლერიც ჩასულა მიუნხენში, იქ კი ძველ მიუნხენელს, ლეგენდარულ მეკარეს ზეპ მაიერს მისთვის გაჭიმვების კეთება შეუთავაზებია.



REUTERS მიუნხენიდან

# კოლეო



REUTERS ველინგტონიდან

ეს ძალიან მაგარი შეჯიბრია და „კოლეო“ ჰქვია. სამხრეთამერიკელი მეჯოგეების მსოფლიოს ჩემპიონატში უამრავ დარგშია შეჯიბრი. კოლუმბიურ ველვისენიოში მართლაც მაგარი ბრძოლები გაჩაღებულა. მოზვერის მორჯულება ერთ-ერთი ამათგანია. საერთოდ კი, „კოლეო“ ოლიმპიურ სახეობად ქცევას უმიზნებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თყვართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge